სახალხო გაზეთი

№ 1003 პარასკევი, 27 სექტემბერი 1913 წ. № 1003

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კიკვასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ ხალამის 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, ეუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კვკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიკიას ქ., ს. სტოვოისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 8. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებითი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი ოქტომბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 2 მ. 25 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

ქრ. მედალი როსტოვის გამოფენაზე 1910 წ.

ბრიუსელის გამოფენაზე 1901 წ. GRAND PRIX.

ოპალიერის (обои) ქარხანა ძმ. ტარნოპოლეზისა.

განყოფილება იმყოფება გოლ. პროსპ., № 21, ტელ. № 355

მიღებული გვაქვს ძვირფასი საჩუქრები.

იყიდება რუსეთის ყველა ქალაქებში. ფასი ყველა (სრული ზომის 11¼ არშ.) შპალიერისა, საფაბრიკოა 8 კ. ვიდრე 6 მ. თოფი. ნიმუშები დაეთმობათ უფასოდ, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთ.

ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ. 1137

ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ.

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 546

ექიმი ივ. ბომბართელი ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფთა მიღება დილის 8—12 საათ. საღ. 5—7 საათ. ოლგას ქუჩა, № 20. ტელ. 633. 654

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ზაკავკაზ. რეჩ"-ში ბ-ნი აბისელი განსვენებულ არჩილის შესახებ სწერს:

„ნახევარი წლის წინად საზოგადო მოღვაწეობის სარბიელს მოშორდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ძლიერი სულით, არა თუ ჯანით, ქართველი პუბლიცისტი არჩილ ჯორჯაძე.

დღევანდელი სინამდვილე ჩრდილს ვერ აყენებდა მის საღსა და ნათელ აზრს; სიკვდილის ჟამამდე სასინათლოს ხედავდა, საიდანაც მისთვის ბრწყინავდა ნათელი მზე სიყვარულისა და თავისუფლებისა.

ქართული საფილტერატურო ოლიმპი დაკარიელდა, მოშორდა ცხოვრების გმირი, რომელიც მზად იყო ყველანაირი გაჭირვებითა და მსხვერპლით შეენარჩუნებინა ის მცირედი, რაც წარსულ დიდებასა და სახელს გადარჩა.

განა ჩვენს დროში ვისმე რამე უყვარს? ვინღაა, რომ მოუწოდებდეს, ან ზრდიალობიანად არ დასცინოდეს იდეალს, ღრმა აზრებს.

რომ იცხოვრო, მაგრამ იცხოვრო ისე, როგორც სცხოვრობდა განსვენებული მოწამე, უნდა გრწამდეს რამე, გრწამდეს შეურყევლად და რამდენიმე ფანატიურად.

მშობელ ხალხს რომ მიეგულო, უნდა გიყვარდეს რამე, რაიმე ტრადიციები, ამისთვის საჭიროა რომელიმე ღმერთი.

ჩვენ ისეთს ადამიანებს ვხედავთ, რომელთაც არც კი აქვთ გარკვეული ცხოვრების გზა.

ჩვენ ისეთს ადამიანებს ვხედავთ, რომელთაც ცხოვრება იმდენად უყვართ, რამდენად ფულს, კარგს საქმელს, უცნაურ მოდაზე ჩაცმისა, ოქროს მოხვეჭისა და მისთვის თავის განწირვის საშუალებას იძლევა.

ავადმყოფი არჩილ ჯორჯაძე სიკვდილის წუთშიც ფხიზელი ყურადღებით ეკიდებოდა ქართულ ცხოვრებას.

აწმყოსი და წარსულისა, უიმედოდ მპოვებელი იმედს არ ჰკარგავდა მშობელი ქვეყნის საუკეთესო მომავლისას, აყვავებისას.

სხვაფრივ შეუძლებელიცაა, ერთს რომ დაჰკარგავ, იმედი უნდა გექნეს, რომ ქვეყნის ახალი ძალები განაგრძობენ შენს საქმეს. მხოლოდ ამნაირად შეიძლება საზოგადო მუშაობა ჩვენს უმწეო, გავერანებულს წრეში.

განსვენებულს არჩილს ღრმად სწამდა—არ არის ღმერთი, რომელსაც გაითიადი არ მოჰყვეს და ელოდა კიდევაც ამ განთიადს სიკვდილის წუთამდე.

სიყვარულისა და თავისუფლების მომადლებული მომდერალი განთიადს ვერ ეღირსა და ჩავიდა საფლავში მტკიცე რწმენით ამ განთიადის მოლოდინში.

დღეს მაინც მოვიშოროთ ცხოვრების სივაგლახე, თავისუფლად ამოვისუნთქოთ, მივიქცეთ საკუთარი გულისკენ და მოვსძებნოთ იქ ის, რაც წმიდათა წმიდაა სხვა ერთათვის და რასაც ასე ცინიკურად უკანასკნელ დროს ხშირად დავსცინით.

მაშ, გავეჩქარნეთ დიდებულ მამულიშვილის საფლავისკენ და ვევედროთ ბედს საკუთარი განკურნებისთვის".

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **პანაშვიდი არჩილ ჯორჯაძის სულის მოსახსენებლად.** გუშინ, 26 სექტემბერს, განსვენებულ მოღვაწისა და მწერლის არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების ნახევარ წლის თავზე, დიდების ძღვთის ძმობლის ეკლესიაში გადახდილ იქნა მიცვალებულის წირვა, რომლის შემდეგაც განსვენებულის საფლავზე გადაიხადეს პანაშვიდი. დეკანოზმა გ. ასათიანმა პანაშვიდის დროს მეტად მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა. წირვასა და პანაშვიდს დიდძალი ხალხი დაესწრო, მათ შორის: დაესწრნენ „სახალხო გაზეთის" ყველა თანამშრომელნი ჭ ქართულ კულტურულ განძანთლებელ საზოგადოებათა და დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

◆ **ბოდბის მონასტერში გაემგზავრნენ** საქართველოს საეგზარხოსოს დროებითი მმართველი ეპისკოპოსი გრიგოლი და ზუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი.

◆ **პოლიტეხნიკუმი.** საუწყებათაშორისო კომისიაში წევრად ჩარიცხულ იქმნა კიდევ ერთი კაცი—ტფ. სახაზინო პალატის გამგე ფ. ა. სმირნოვი.

◆ **რუსული გაზეთი „ზაკავკაზიე"** გუშინაც არ გამოსულა, რადგანაც რედაქციასა და სტამბის შორის უთანხმოება იყო.

◆ **სასმელ წყლის ძებნაში.** სხვა და სხვა წყაროს წინასწარ გამოსაკვლევად ქალაქის საბჭოს გადადებული აქვს 25,000 მან. 25 სექტემბრისათვის: განზრახულია გამოკვლევა ჭოპორტისა, ბალაჩაურისა და საგურამოს წყაროებისა.

◆ **ხილისა და ბოსტნეულის გამოფენა-ბაზარი** 29 სექტემბერს დაიწყება საარტისტო საზოგადოების საზაფხულო შენობაში. გამოფენა-ბაზარში ბრავალი მეურნე იღებს მონაწილეობას.

◆ **წინამძღვარიანთ-კარის სკოლის იუბილეს** მონაწილენი ტფილისიდან გავლენ იუბილეს წინა დღეს, 28 სექტემბერს.

◆ დეპეშათა პეტერბურგის სააგენტოს ატყობინებენ: ახალქალაქში საღამოს 7½ საათზე ძლიერი **მიწის ძვრა იყო.**

◆ დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, **30 შეიარაღებული ყაჩაღი თავს დაესხა შიხმანის სააუველირო მაღაზიას.** პოლიციასთან შეტაკების დროს მოჰკლეს პოლიციელი და ვაჭარი, დაჭრილია შიხმანი და ბოქაულის თანაშემწე. ყაჩაღები მიიმალნენ. მაღაზია გაცარცეს. თავდასხმის დროს ტელეფონის მავთულები გადაჭრილი იყო.

◆ ჩვენს გაზეთში აღნიშნული იყო, რომ **ტრამვაის მუშებმა სამი დღის ვადა მისცეს ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელს მოსალაპარაკებლად.** ეხლა მოლაპარაკებაა მუშების წარმომადგენლებსა და საზოგადოების წარმომადგენლის შორის. კარგი ხანია, რაც ჩამოვიდა უსახელო საზოგადოების წარმომადგენელი და დღემდე არც კი უფიქრია მუშებს მოლაპარაკებოდა. მან გამოიწვია მუშების მხრით ვადის დანიშვნა.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **მდაბიო მოქალაქეთა რწმუნებულების კრება** დღეისთვის არის დანიშნული საღამოს რვა საათზე. კრებას განსახილველი აქვს შვიდი საკითხი.

ბოლოს

◆ 26 სექტემბერს მთავარანგელოზის ეკლესიაში ნაწირვებს გადახდეს არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალებიდან ექვსი თვის პანაშვიდი.

◆ სილოვან ხუნდაძის იაფ-ფასიანი პატარა ქართული გრამატიკა უკვე გამოიცა და წიგნის მაღაზიებს გასასყიდად დაურიგდა.

◆ ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს სხდომები, რომელიც ჭიათურაში 15 ამ თვეს დაიწყო,—მხოლოდ გუშინ დასრულდა. ბევრი საკითხის გადაწყვეტა ვერ მოასწრეს და შემდეგისთვის გადაიდვა. სხვა საკითხებთან ერთად შემუშავდა საბჭოს მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა. აგრედვე დაადგინეს: მდინარე ყვირილის ნაპირას მდებარე შვიდს სოფელში მოეწყოს წყალსადენი; დახარჩენ სოფლებში კი შეკეთდეს წყაროები. აძასთანავე დაათვალიერონ მდინარე ყვირილისა და რიონს შუა მდებარე სოფლები და ეცნობოს საბჭოს, სად არის საჭიროება წყალსადენის მოწყობისა.

მოკლე ხანში მოხდება საბჭოს მიერ სტიპენდიების განაწილება, ხოლო მორიგი სხდომა კი—ოქტომბრის შუა რიცხვებში.

◆ პარასკევს, 27 სექტემბერს, ქალაქის თეატრში ტფილისის სომხური დრამატიული დასი სომხურ წარმოდგენას მართავს. წარმოადგენენ გოლდონის პიესას (ნათარგმნს)—„დონ-გრიგორიოს". აგრედვე წარმოადგენენ ქართულ ვოდევილს—„თაიგული". დასს ხელმძღვანელობს სომხური დასის დამსახურებული მსახიობი კრკრი.

◆ ქალაქის საავადმყოფოს უფროსი ექიმი რაძევიჩი ავადმყოფების გამო ქუთაისიდან პეტერბურგს წავიდა. ის ძძიმე ავად ყოფილა. საავადმყოფოში კი ამ ჟამად 30 ავადყოფია.

◆ ქალაქის საბჭოს მორიგი კრება მოხდება ორშაბათს 30 სექტემბერს. გარჩეული იქნება სხვა და სხვა საკითხი.

◆ გუშინწინ გაიხსნა ქალაქის საკითხველო, რომელიც დღემდე დაკეტილი იყო მოსამსახურეების დათხოვნის გამო.

◆ ქალაქის გამგეობამ და ხიდების კომისიამ საგუბერნიო ინჟინერის თანხლებით დათვალიერა ქალაქის ყველა ხიდი და საჭიროდ სცნო მათი შეკეთება. საქმეს მომავალში შეუდგებიან.

22 სექტემბერს, სამტრედიაში ღამით დიდი უბედურება დატრიალდა: გადაიწვა ხუთი დუქანი. ცეცხლი გაჩენილა ცაგარეიშვილის საღურგლო სახელოსნოში, ნანგრევებში მოჰყვა 10 წლის ბავშვი. იგი ძლიერ დამავდა, მორჩენა საეჭვოა.

◆ 29 სექტემბერს მოხდება სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების წევრთა წლიური კრება, რომელზედაც გენიხილავენ გამგეობის მოქმედების ანგარიშს და სხვ.

◆ 3 ოქტომბერს სამიწათ-მომქმედო სამართველოს განყოფილებაში საჯარო ვაჭრობით გაიცემა ლეჩხუმისა, ქუთ. და სხ. მაზრებში მდებარე სახელმწიფო ტყეები და მამულები.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ფოთი. დაუვიწყარ **არჩილის** სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადავიხადეთ.

თანამოაზრენი.

საუურადღებო საკითხი

(დასასრული *)

არ უნდა დავივიწყოთ ამასთანავე, რომ მთავრობის პროგრამნაზიებში ეგრეწოდებულ საანბანო განყოფილებებში იღებენ ისეთებს, რომელნიც საკმაოდ თავისუფლად არკვევენ სიტყვებს და სწერენ კიდეც, რასაკვირველია, რუსულად. თავის-თავად იგულისხმება ბავშვების მიერ რუსული ლაპარაკის ცოდნა, რადგან სწავლა ყველა საგნებისა, საღვთო სჯულის გამოუკლებლივ, გარდა არამართლმადიდებელთა, სწარმოებს ამ ენაზე პირველ დღიდანვე. სამშობლო

*) იხ. „სახ. გაზეთი" № 1002.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილიანი.

ექიმი შ. ა. ფიქელაძე

15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი

ბ. ზ. გაბელიშვილი

სწამლობს შინაგან, თვალისა და ბავშვთა ავადმყოფობას დილით 9—12 საათ., საღამოს 5—7 ს.

19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.) № 17, ტრამვაის გასაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლეს. გასწვრივ. 588

ექიმი ჯ. ლ. კიკალიშვილი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

ექიმი ე. ი. მინასიანცი იღებს ყოველ დღე, შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუბისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ბლექ. და დამშალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. **იღებს** დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა ჭ კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი

ი. ზ. გაბელიშვილი

სწამლობს შინაგან, თვალისა და ბავშვთა ავადმყოფობას დილით 9—12 საათ., საღამოს 5—7 ს.

19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.) № 17, ტრამვაის გასაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლეს. გასწვრივ. 588

ექიმი

ივ. ბომბართელი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფთა მიღება დილის 8—12 საათ. საღ. 5—7 საათ. ოლგას ქუჩა, № 20. ტელ. 633. 654

ელექტრონის და რენტგენის სამკურნალო

მიხ. ბედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., **გაინჯვა** და გადადება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. №20. წ. 1023

დოკტორი მედიცინისა

გ. ა. ახვერდოვი,

პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულსა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 10—11 ს., საღ. 6—8 ს. **სემიონოვის ქ., № 18,** (ვორონეცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 159

ექიმი

ი. ზ. გაბელიშვილი

სწამლობს **შინაგან,** თვალისა და ბავშვთა ავადმყოფობას დილით 9—12 საათ., საღამოს 5—7 ს.

19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.) № 17, ტრამვაის გასაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლეს. გასწვრივ. 588

ექიმი

ჯ. ლ. კიკალიშვილი

ექიმ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.

ქირურგ. სნეულებანი.

მარკევიჩი ვ. ლ. კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½.
მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.
ფირადოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1.

ქალთა და სამშობ. სნეულებანი.

ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.
თიქანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.
მელიქიშვილი ნ. ვ. ყოველ დღე 10—1.

ბავშვთა სნეულებ.

ექ.-ქალ. ბაბრაძე-ბედბარიშვილისა ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½
მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1
ფედოროვი ბ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.

ერვიულ. სნეულებ. და ელექ.

ჯავახიშვილი ნ. ნ. საშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1
ფოინდოლეი ბ. ს. ყოველ დღე 1—2

ყელ. ყურის და ცხვირ.

ათენიანცი ნ. ა. ყოველ დღე 12½—1½.
ორემბოვსკი ნ. ს. ყოველ დღე 1½—2.

თვალის სნეულ.

მუსხელიშვილი ვ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.

კან. და ენგრ. ავ.

დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმია და საბაქტეოიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რეაქციისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიაობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **„606" და „914" წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონიან წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძი-ძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

ექიმი

ფ. ი. მინასიანცი

ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 159

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 159

ექიმი

ი. ზ. გაბელიშვილი

ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 159

ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 159

ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 159

ენა, რომელიც, ნუ დაივიწყებთ, საავალდებულო არ არის, ისწავლება როგორც საგანი და დათმობილი აქვს კვირაში, სამივე განყოფილებაში, 6 გაკვეთილი: 3 პირველ და მეორე განყოფილებაში (შეერთებული) და 3 მესამეში. თუ გავიხსენებთ ზემონათქვამიდან, რა ადგილი უკავია „განათლების“ სკოლაში (მოსამზადებელ კლასებში) სამშობლო ენას, აშკარად დავინახავთ, თუ რა დიდი განსხვაცება უნდა იყოს რუსული ენის ცოდნაში პირველ ძირითად კლასში გადასვლის დროს, მთავრობის პროგრამნაიის და „განათლების“ სკოლის მოწაფეთა შორის. ესევე გარემოება, რასაკვირველია, სულ სხვა პირობებში აყენებს სწავლის საქმეს ძირითად კლასებშიაც, სადაც გაკვეთილების რაოდენობა და განაწილება ერთგვარია, გარდა სამშობლო ენისა, რომელიც „განათლებისაში“ მაინც სჭარბობს.

ჩვენ აქ არას ვამბობთ სხვა, ერთგან ხელის შემწყობ და მეორეგან ხელის შემშლელ, პირობებზე, მაგ.: ყველამ ვიუწყით, რომ ყოველ წელს იძდენი ბავშვი აწყდება გიმნაზიებს, რომ ყველას მიღება, ადგილის სიმცირისა გამო შეუძლებელია; მაგრამ გიმნაზიები ამ საკითხს ადვილად და ძასთანავე თავის სასარგებლოდ სწყვეტენ: იღებენ უკვე მომზადებულებს, ასე რომ, მაგალითად, პირველ ძირითად კლასში შემსვლელმა, 10—12 წლის ბავშვმა, თითქმის უშეცდომოთ უნდა დასწერონ რუსული კარნახი. დავუმატოთ ამას ისიც, რომ გიმნაზიებს ეტანება უფრო შეძლებული კლასი, რომელთა შვილები უფრო ძომზადებულნი არიან, ხშირად ნაშუადღევს სახლში რეპეტიტორებიც ეხმარებიან და საჭიროა სასწავლო ნივთებით ხომ უზრუნველყოფილნი არიან. „განათლების“ სკოლაში კი დაიარებიან ისეთები, რომელნიც ხშირად საჭირო წიგნებსაც კი ვერ ყიდულობენ სავსებით, სწავლის ფული ხომ ათ-ათ შაურობით შეაქვთ.

ზემო ნათქვამიდან ცხადია, ასეთ უთანასწორ პირობებში ჩაყენებულ „განათლების“ სკოლას ყოვლად შეუძლებელია მოეთხოვოს რომ ძისმა მეოთხე კლასელებმა ეგზამენები ჩააბარონ და შესაფერი მოწმობა ძიღონ მთავრობის გიმნაზიებში.

ძართალია, არის ერთად-ერთი გზა ამ სურვილის განსახორციელებლად, თუმცა ეს გზა ძვირად დაგვიჯდება; სახელდობრ: ჩვენს სასწავლებელში სწავლა ისეთსავე პირობებში ჩავაყენოთ, როგორც მთავრობის პროგიმნაზიებშია, ე. ი. ჩამოვხსნათ არსებული ცხრილი გაკვეთილებისა და მიღებული პროგრამა და ძათ ნაცვლად შემოვიღოთ ისეთი, როგორიც მთავრობის სასწავლებლებშია. მაგრამ... მაშინ ხომ „განათლების“ საზოგადოება უღალატებს თავის მიზანს: ღარიბ, ხელმოკლე ქართველებს გაუადვილოს ქართულ ნიადაგზე შვილების აღზრდა. მაშინ ხომ „განათლების“ საზოგადოება თვითონვე ჩააქრობს ასეთის წვალებით ანთებულს სამშობლო კერის გამაშუქებელს ლამპარს...

მაგრამ იბადება საკითხი: ვისთვის ან რისთვის არის საჭირო ეს? მოწაფეების მიერ სწავლის განგრძობის მთავრობის გიმნაზიებში, შემდეგ ჩვენი სკოლის გათავებისა, ეს ვერ შეხებია, რადგან, გარდა იმისა, რომ მათ უსახსრობა ამის ნებას არ მისცემს, მაშინ იძულებულნი ვიქნებით ჩვენ სასწავლებელშიაც ისეთი ნორმა შემოვიღოთ მოსწავლეთა წლოვანებისა, როგორიც იქ არსებობს. ეს კი შეუძლებელია. მაშასადამე, რჩება ეგზამენების დაჭერა მოწმობის მისაღებად. რაშია გამოსადეგი ეს მოწმობა? ერთად-ერთი სასწავლებელი საბჭოთ ინსტიტუტია, სადაც ჩვენს მოწაფეებს არც წლოვანება დაუშლის და არც ისე ძვირად დაჯდება სწავლა, თუ ვინიცობაა მოისურვეს იქ გადასვლა — მაგრამ პროგიმნაზიული კურსი ეხლა უკვე ცოტაა ამ ინსტიტუტში შესასვლელად. სოფლად, პირველ დაწყებით სკოლაში მასწავლებლობას თუ ი ტ ყვით, იქაც საჭიროა საგანგებო ეგზამენი. მაშასადამე, რაშია გამოსადეგი ეს რაღაც მოწმობა, რომელიც ასეთ მსხვერპლს მოითხოვს?

გავითვალისწინოთ, რამდენი ქალიშვილი ათავებს ყოველ წლივ საშუალო სასწავლებელს ტფილისში (დღეს დღეობით მათი რიცხვი 8-აა)—მიუმატეთ ამას იმათი რიცხვიც, რომელიც კმაყოფილდება შვიდი კლასის კურსით, ან გამოდის მეექვსე, მეხუთე კლასიდან. ხომ ვერც ერთს მათგანს ვერ გაუწევს მეტოქეობას ჩვენი მოწაფე თავის ოთხის კლასის მოწმობით.

მაშასადამე, ფასი რჩება და უნდა ჰქონდეს კიდეც თვით მიღებულ სწავლა-აღზრდას, ცხოვრებაში გამოსადეგ ცოდნის შეძენას. ამ მხრივ უნდა ვაფასებდეთ ჩვენს სკოლას, ამ მხარეზე უნდა იყოს მოქცეული მთელი ყურადღება როგორც გაძგე კომიტეტისა, ისე საზოგადოებისა. და თუ ჩვენი შეგირდების ზოგიერთი მშობლები ძაინც გაიძახიან მოწმობის საჭიროებას, ამას სჩადიან ტრადიციულად, შეუგნებლობისა გამო, ისე როგორც ჩვენი ხალხი დღესაც გიმნაზიის იქით ხსნას ვერსად ხედავს, თუ ჩამოვაოდა კითხვა საშუალო სასწავლებლის საჭიროებაზე.

ჩვენის აზრით, თვით საკითხიც კი არ უნდა აღძრულიყო გამგე კომიტეტმი ამ საგნის შესახებ. სკოლა დაარსებულია განსაზღვრული ძიზნით და ამ მიზანს ეძსახურება, რამდენადაც გარემოება ხელს უწყობს, პირნათლად. სკოლა ჰპირდება მმოზლებს: მისცეს მათ შკოლებს (და აძლევს კიდეც) განსაზღვრული ცოდნა, და მეტს რაღასა ვსთხოვთ? ვისაც უნდა და სახსარი შესწევს მეტი განათლება მისცეს თავის შვილებს, ღმერთმა ხელი მოუმართოს.

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 998

ცოტა ზნით ფინლანდიაში

(დასასრული*)

1808 წ. ქ. ჰელსინგფორსი დაპყრობილ იქნა რუსეთის მიერ. დღეს ეს ქალაქი ერთი ულამაზესია თავისი საუცხოვო ადგილ-მდებარეობითა. მას თითქმის ყოველ მხრივ ფინის ყურის წყალი აქვს შემოვლებული. სიმშვენიერით და კეთილგანწყობილობით არ ჩამოუვარდება არცერთ ევროპიულ პირველ ხარისხოვან ქალაქს. მეტადრე აღსანიშნავია აქაური უზარმაზარი 5—7 სართულიანი სახლები, ადგილობრივ ჯავარიან ქვისაგან აშენებული—ნაციონალურ გემოზე. ამ ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი უდრის 150,000. ლამაზი ქუჩები ქვაფენილით დაგებული ასფალტით დაფენილი გზები საოცარი სისუფთავისა, ბლომად ბაღები და ბულვარები, ძვირფასი მაღაზიები, კოხტა და მსუბუქი ელექტრონის ტრამვაი, რომელიც გაყვანილია ქალაქის ყველა უბნებში ყველა ეს საუკეთესო შთაბეჭდილებას სტოვებს მოგზაურზე. ჰელსინგფორსი, როგორც დედა-ქალაქი ამ ქვეყნისა წარმოადგენს ადმინისტრატიულსა ძ კულტურული ცენტრს. აქ სცხოვრობს ღენერალ-გუბერნატორი მთელი მხარისა და აგრეთვე ნიულანდის გუბერნატორი. აქვე არის სენატი, ყველა ცენტრალური დაწესებულება, რუსეთის ჯარის ნაწილები, უნივერსიტეტი, პოლიტეხნიკუმი და მუსიკალური ინსტიტუტი, მრავალი საშუალო და სპეციალური სასწავლებლები, ორივე სქესთათვის ერთად.

„სწავლა სწარმოებს ადგილობრივ ენებზე—ფინურად და შვედურად ყველა სასწავლებლებში, დაწყებული დაბლიდან—უმაღლესამდე. რუსული ენის სწავლებას გაურბიან. 1860 წ. რუსული ენა ისწავლებოდა ყველა სასწავლებელში, მაგრამ 1862 წ. ფინლანდელებმა იმდენი იმაცადინეს, რომ სახელმწიფო ენა გახადეს არაუავალდებულოდ“. ჰელსინგფორში აგრედვე მრავალი საზოგადოებაა დაარსებული (მათ შორის—„დაძხსნელთა ჯარს“ ცალკე შევეხებით). თეატრებიც არის—ფინური, შვედური და რუსული. პირველ ორ ენაზე ზამთრობით თითქმის ძუდამ დღე არის წარმოდგენა. ადგილობრივ ენებზე აქ მრავლად გამოდის ჟურნალ-გაზეთები—ოცჯერ მაინც მეტი, ვიდრე ჩვენში. რუსული გაზეთი აქ გამოდის მხოლოდ ერთი, ისიც ოფიციალური ორგანოა, დაარსებული 1900 წ. დღეს ფინურ და შვედურ ენებს ყველგან თანაბარი უფლება აქვთ მიჩნეული. სამოციან წლებამდე კი ფინური ენა შევიწროვებული იყო. 1 აგვისტოს 1863 წ. გამოიცა ბრძანება იმპერატორ ალექსანდრე II-სა,—რომ ფინურ ენას დაეჭირა იგივე ალაგი, რაც შვედურს. ამ ბძანებით ყველა სასამართლო და ადმინისტრატიულ დაწესებულებას ევალება, რათა ყველა ქაღალდი და დოკუმენტი ფინურ ენაზე მიიღონ.

ამასთანავე სენატს ნაბრძანები ჰქონდა თავისი მოსაზრება და გეგმა, თუ როგორ უნდა დაეჭირა ფინურ ენას შესაფერი ალაგი მთელს მხარეში. რადგან ერთბაშად არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო ეს „განათლების“ სკოლას აღარ შეეხება.

„ეს, რომ, თუ ზემოხსენებულ უფლების (მოწმობის) იმედი არ ექნებათ მოწაფეებს, ჩამოშორდებიან სასწავლებელს და იგი დაცარიელდებაო, უსაფუძვლოა. ამას გვიმტკიცებს ქალაქის პირველ დაწყებითი სკოლები (4 წლის კურსით), რომლებიც სავსეა მოწაფეებით; ამასვე გვიმტკიცებს ტფილისის ორკლასიანი რკინისგზის დედათასასწავლებელ 6-ს წლის კურსით (ჩვენსაში 7 წელს ათავებენ პროგიმნაზის) სადაც ათასამდე ქალი სწავლობს და არავის აზრად არ მოსდის მოსთხოვოს სასწავლებელს გიმნაზიაში მოწმობა აგვაღებინეო. ტფილისშივე არსებობს სომეხთა „გაიანეს“ და ეგრედწოდებული „ანანიანს“ სკოლები, რომლებიც გაჭედილია მოსწავლე ქალიშვილებით; და ესენი, როგორც კერძო სასწავლებლები, უუფლებონი არიან, მაგრამ თავის პროგრამას კი არ სცვლიან იმ მიზნით, რომ შეეძლოთ მერე მოწაფეების წაყვანა მთავრობის გიმნაზიებში მოწმობის მისაღებად.

ყველა მშობლის სურვილს სკოლა ვერ გაჰყვება. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ის დიადი მიზანი, რომელიც დასახულია სკოლის დაარსების დროს ქართულ ნიადაგზე აღზრდა ქალიშვილებისა, რამდენათაც ეს შეესაძლებელია ეხლანდელს პირობებში.

დიდი ხანია გაისმის ჩვენს საზოგადოებაში სამართლიანი ჩივილი, რომ ქართული ოჯახი დაირღვა-დაიშალა, გადაგვარება-გადაშენების გზას დაადგა, და მისი განახლება შეუძლია მხოლოდ ქართულ ნიადაგზე აღზრდილსა და განათლებულ დედას.

დასკვნა ზემო ნათქვამიდან ცხადია: თუ „განათლების“ სკოლის გამგეობას არ უნდა საკუთარის ხელით დაჰკლას თავისი პირმშო, განზრახული ცვლილება უნდა უკუგდებულ იქმნას საძუდამოდ. პროგრამა სკოლისა, ანუ უკედ ხასიათი ამ პროგრამისა, უნდა დარჩეს იგივე, ვიდრე შეძლება მოგვეცემა ჩვენი სკოლა ჩვენივე სურვილისამებრ მოვაწყოთ.

ერთი მშობელთაგანი.

აკაკის მოგზაურობა შუსიანში

და იმისი სახელობის ზიგნთ-საცავ-სამკითხველოს კურთხევა

(დასასრული *)

ნადიმი დაძთავრდა ხუთ საათზე; მგოსანმა გაიარ-გამოიარა ეზოში და შემდეგ ცოტა ხანს მოისვენა ოთახში. ხალხი ძატულობს, სამკითხველოდან სადგურამდე ქუჩა გაჭედილია; საზოგადოებამ გვთხოვა, რომ ერთხელ კიდევ გავატაროთ მგოსანი სადგურამდე და დავანახვოთ ხალხს; ხალხის სურვილი მოვახსენეთ აკაკის და გამოვიყვანეთ ეზოში, სადაც მოართვეს სავარძელი, ჩასვეს შიგ, ასწიეს მაღლა და „ვაშას“ ძახილით და ტაშის-ცემით მიიყვანეს სადგურამდე და შემდეგ უკანვე ბინამდე; ხალხის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. რვა საათზე გაიმართა სალიტერატურო საღამო და მოლოცვები საჩუქრებით. სამკითხველოს კომისიამ მიართვა ვერცხლის საწერელ-კალამი წარწერით; მუხიანის სადგურის მოსამსახურეთა ცოლებმა მირთვეს კალმის ტარი, ქალაღლის საპრეხი, შტემპელი და სხვა... წარწერით კოლოფზე. ფარცხანაყანების საზოგადოებამ—ვერცხლის სურა და ფინჯანი ზედ წარწერით. მუხიანის სამკითხველოს თანამგრძნობ ქალთაგან ხელოვნური პორტფელი წარწერით.

საჩუქრების მირთმევის დროს მგოსანს მიმართეს სიტყვებით 1, ილია ზუმბურიძემ და მიართვა ვერცხლის სურა. 2, სადგურის მოსამსახურეთა ცოლებმა 3, ფარცხანაყანების საზოგადოების წარმომადგენელმა ვ. თევდორაძემ, 4, სამკითხველოს თანამგრძნობ ქალიშვილთაგან.

საჩუქრების მირთვევისა და მილოცვების შემდეგ დაიწყო საღამო, რომელიც შესდგებოდა სამი განყოფილებისაგან. პირველ განყოფილებაში მგოსანმა ვარლამ რუხაძემ მოხდენილად წაუკითხა მგოსახს თავისი ლექსი „ერის სულის მეფე“—ლექსმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ახალ-გაზრდა მგოსანმა გალ. ტაბიძემაც ძიძართა აკაკის ლექსი;

პატარა ბავშვებმა წაუკითხეს სხვა და სხვა ლექსი; მგოსანმა ბავშვები დაჰკოცნა.—აგრეთვე ს. ურუშაძეს წაუკითხა მგოსახს ლექსი;

ძეორე განყოფილებაში **მგოსანმა აკაკიმ წაიკითხა ლექცია არქეოლოგიურ ნაშთებზე.** ძესამე განყოფილებაში ზედა-მაღლაკის სკოლის ძასწავლებელმა ძელ. ჩეჩელაშვილმა წაიკითხა თეატრის მნიშვნელობის მესახებ ვრცელი მოხსენება. შემდეგ წარმოადგინეს აკაკის **„ბუტიაობა“**; ძიუხედავად იმისა, რომ როლები სუსტად იცოდნენ, წარმოდგენაძ დამსწრე საზოგადოება გაამხიარულა. და ბოლოს სცენის ძოყვარულმა ვლ. ტყემელაშვილმა წაიკითხა რამდენიძე იმერული სცენა, რითაც ბევრი აცინა ხალხი. საღამო და წარმოდგენა დამთავრდა ღამის თერთმეტ საათზე; თორმეტის ნახევარზე მატარებელიც ჩამოვიდა და რადგანაც მგოსანმა საუძჯობესოდ სცნო ქუთაისში მოსვლება, ძოვიყვანეთ სადგურზე; სანამ მატარებელი იდგა სადგურზე, „ვაშას“ ძახილი და ტაშის ცემა არ შეწყვეტილა; მესამე ზარის შემდეგ დაიძრა თუ არა მატარებელი, ხალხმა უკანასკნელად ძესძახა მგოსანს „გაუძარჯოს აკაკისო“ და ტაშის ცემით გაისტუმრა მატარებელი ძვირფასი სტუძრით. ნაშუაღამევის ორი საათის ნახევარზე ძივედით ქუთაის, მგოსანი ჩავსვით ეტლში და გავისტუმრეთ სასტუმროში მოსასვენებლად. საზოგადოდ მოგზაურობაძ ძხიარულად ჩაიარა და დიდი აღტაცება გამოიწვია ხალხში.

ლადო ბზვანელი.

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 998

უგანათლ. თავადის უჩა დადიანის საქმე*)

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

მაზრის უფროსმა ოლხოვსკიმ სთქვა: ერთხელ ჩემთან მოვიდა ადგილობრივი მეშაძული ჩიკვაიძე (ეხლა ეს ჩიკვაიძე ბოქაულის თანაშემწეა შორაპნის მაზრაში და ამ ჟამად მოწმედ არის დაბარებული) და მითხრა: ერთ რესტორანში თუ დუქანში საეკვო კაცები ისხდნენ და მკვლელობაზე ლაპარაკობდნენ; მათ შორის იყო ჩემი ნაცნობი კახიძეო. ამ ამბის გაგების შემდეგ ბოქაულს ნემსაძეს დავავალე ყველაფრის გამოკვლევა. ნემსაძე ძალიან მოხერხებული კაცი იყო, საეკვო ხალხს კარგად იცნობდა დ ამისთანა საქმეში ბადალი არა ჰყავდა. რადგან ადგილობრივ მცხოვრებლებისაგან საიდუმლოს გაგება დანათესავებით შეძლება, ამიტომ მივეცი ფული ნემსაძეს და უთხარი, მოენათლა კახიძის შვილი და ისე გაეგო ყველაფერი. ნემსაძემ ჯერ ვერაფერი გააწყო, მაგრამ მეორედ რომ გაეგზავნე, ნათლობა გაემართათ და მკვლელის ამბავიც გაეოგო. კახიძეს ეთქვა, რომ მკვლელი ცინცაძეაო, რომ მკვლელობა უჩა დადიანმა მოაწყოო. განკარგულება მოვახდინე და ცინცაძე გურიაში დავაპატიმრებინე. დავიბარე გამომძიებელი. მან თან მაიყვანა ან. ერისთავისა, რომელიც მკვლელობის დროს თავ. ალექსანდრე დადიშქელიანთან ყოფილა და რომელსაც მკვლელი დაუნახავს. ერისთავისამ მაშინვე იცნო ცინცაძე. ამას გარდა თვით ცინცაძეც გამოტყდა.

პროკურორი. თქვენ ბრძანეთ, ნემსაძემ შვილი მოუნათლა კახიძესაო. სხვა რა საშუალება იხმარა მის გამოსატეხად?

— ეპატიჟებოდა, ათრობდა, ფულსაც აძლევდა.

ვექ. ბობრიშჩევი-პუშკინი. რატომ კახიძე კი ძამინვე არ დააპატიმრეთ?

— მე სხვა მოსაზრება მქონდა: მინდოდა კახიძისაგან ყველაფერი გამეგო. ვთხოვე ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს, კახიძე ჩემ განკარგულებაში დაეტოვებინა. კახიძე თუძცა დამწყვდეული არ იყო, მაგრამ პოლიცია თვალყურს ადევნებდა—არსად წასულიყ . პოლიციელი ძუდამ თან ახლდა.

ვექ. ესსენი. არა თუ არ დააპატიძრეთ კახიძე, პირიქით რევოლვერიც მიეცით და სხვა და სხვა საპოლიციო საქმესაც ასრულებინებდით.

— მართალია.

კახიძე. რევოლვერიც მოძცა, ფულსაც ხშირად ძაძლევდა და არც დაპატიძრებული ვიყავი. ამბობს, ვითომ პოლიციელები თვალყურს მადევნებდნენ და ერთი პოლიციელი მუდამ თანაც დამდევდა. ტყუილია. როგორ არა სცხვენიან, მაზრის უფროსია და ტყუილებს კი ამბობს!? მაშ თუ ბოლოს ჩემთან იყვნენ, იმათაც ჩემთან ერთად ქურდობა ჩაუდენი თ! ეს ქურდობა სწორედ ამ დროს მოხდა. საერთოდ ამ ქურდობისთვის სასჯელი გადამიწყვიტა. ქურდობასულ სხვა მაზრამი მოხდა. გამოდის, რომ იმ მაზრაში ყოფნის და ქურდობის ჩადენის დროს პოლიციელებიც ჩემთან ყოფილან, მაშასადამე, მათაც ქურდობა ჩაუდენიათ! ეს სულ ტყუილებია. მთელი ეს საქმე ნემსაძემ მოაწყო. მან ჩაგვითრია ყველანი.

აქ კახიძემ უამბო სასამართლოს ის, რაც ზემოდ ნემსაძის შესახებ აღვნიშნეთ. დაუმატა ისიც, რომ ამ საქმეში ოთარ დადიშქელიანიც იღებდა მონაწილეობას: ეხვეწებოდა ნემსაძეს, გამოვეტეხე, რომ თავ. დადიანმა მოგვისყიდა. ჩვენც მოვტყუვდით, რადგან გვპირდებოდნენ—დადიშქელიანი დიდი კაცია და სასჯელისაგან დაგიხსნითო. ცინცაძეს ხუთას მანეთს შევპირდით. ჩვენ რომ მკვლელები არ ვიყავით, სჩანს იქიდანაც, რომ როდესაც ანნა ერისთავისამ ნახა ცინცაძე, სთქვა—„მკვლელი ეგ არ არისო“. მაგრამ ნემსაძემ მიუგო: „როგორ არა, ეგ არის, გამოტყდა კიდეცა“.ო. და აი ასე, ნემსაძის წყალობით, ჩავვარდი ამ საქმეში.

თავ. ოთარ დადიშქელიანი. თუ მართალია ის, რასაც კახიძე ამბობს, თუ მართლა ჩემის ფულით იყო მოსყიდული ცინცაძე როგორ მოხდა, რომ კავკავის ოლქის სასამართლოში ცინცაძემ, თითქმის მამაკვდავმა, ხმა მაღლა, ყველას წინ განაცხადა, რომ თავადი უჩა და კნეინა ბაბილინა არიან მკვლელობის მომწყობნიო?

კახიძე. მოითმინეთ, მე ჯერ არ გამითავებია. კავკავში, სწორედ საქმის გარჩევის წინ, მე გადავწყვიტე განცხადება გამეგზავნა და ყველაფერში გამოვეტეხილიყავ. ეს რომ ცინცაძემ გაიგო, ქვით თავი გამიტეხა. როდესაც თავადმა ოთარმა ჩემი გატეხილი თავი დაინახა, დამამშვიდა, ცოტა კიდევ მოითმინე, ხვალამდე და მერე მე ვიცი. ხვალ კი, ესე იგი, მეორე დღეს ათი წლის კატორგა მომაკრეს! ეს იყო ჩემი ჯილდო.

ამივე დღეს, საღამოს სხდომაზე, ჩვენება ჩამოგვართვეს ოთხ კაცს: ტყაჩუას, ბოქაულის თანაშემწეს ჩიკვაიძეს, კნ. ბაბილინა დადეშქელიანის ბიძაშვილს თავ. თენგიზს ერისთავს დ თავ. ლევან დადიშქელიანს. ამათში ყველაზე საყურადღებო თენგიზ ერისთავის ჩვენება იყო.

თავ. თენგიზ ერისთავი. განსვენებულმა ალექსანდრემ რამდენიმე წერილი მიიღო, სადაც ატყობინებდნენ კნ. ბაბილინას და თავ. უჩას კავშირის შესახებ. თავ. უჩას უთხრეს, ფეხი აეკვეთნა და არ ეარნა კნ. ბაბილინასთან. 8 იანვარს, როდესაც მკვლელობა გავიგე და საავადმყოფოში მივედი, დადიანმა მითხრა—მკვლელი უკვე დააპატიმრესო. მე

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 1002.

ცოტა ზნით ფინლანდიაში

(დასასრული*)

ლაბორი—ვადად 20 წელიწადი დანიშნეს, რომელ ხანშიც ფინური ენა თანდათან უნდა შემოეღოთ.

ფინლანდიელები, რასაკვირველია, სიხარულით ცას ეწივნენ და შესაფერისად გამოიყენეს კიდეც ეს თავიანთ სასარგებლოდ.

„ფინლანდიის მცხოვრებლებს რუსებისადმი სიძულვილს ყველგან შეამჩნევთ—კრებებზე, ქუჩაში, თეატრში და ეკლესიაშიც კი!

როდესაც ადმინისტრაციას მიერ თეატრის დარბაზში გამოკიდული იქნა იმპერიის ღერბი—აქაურმა ინტელიგენციამ დემონსტრატიულად განაცხადა, რომ, სანამ ეს ღერბი მოხსნილი არ იქნება, თეატრში არც ერთი ფინლანდიელი ფეხს არ შესდგამსო; ღერბი, რასაკვირველია, მოხსნეს“. ერთი სამხედრო ისტორიკოსი აქაურ სამხედრო ბეგარაზე აი რას ამბობს: „ფინლანდიის კულტურულად წინსვლის სხვა მიზეზთა შორის უნდა დავასახელოთ შეღავათიანი სამხედრო ბეგარაო. შვედების ბატონობის დროს ფინლანდიაში ნახევარი მილიონი მცხოვრები არც კი იყოო, მაგრამ 13 ათასი კაცი კი გაჰყავდა ჯარშიო, ე. ი. 3 პროც.—მცხოვრებთა მთელი რიცხვისა. რუსეთთან შეერთებისათანავე ეს მხარე განთავისუფლებული ყოფილა სამხედრო ბეგარისაგან, თუ არ ჩავთვლით მცირერიცხოვან ადგილობრივ რაზმებს“. როგორი აზრისანი იყვნენ ფინლანდელები ამ ბეგრის შესახებ? იგივე ისტორიკოსი ამბობს შემდეგს: „ფინლანდიის სეიმში 1877 და 1878 წლებში ქეშმარიტებად აღიარეს შემდეგი: შეიძლება ტახტს რაიმე საფრთხე მოეღოდეს როგორც კავკასიის მთებში, აგრედვე ჰოლონეთის ველებზე, ან და ფინლანდიის ზღვის ნაპირებზე, მაგრამ გაყვანა ჩვენი ჯარისა ფინლანდიიდან არაფრით შეიძლება, ჩვენ არა ვართ თანახმა ბეგარა ვიხადოთ იმპერიის პოლიტიკის სასარგებლოდ. ჩვენი ჯარი მოვალე არ არის დაიცვას რუსეთი—ასეთი იყო აზრი სეიმისა. რუსეთი შეიძლება იძულებული იყო შეიარაღებული ძალით გადაწყვიტოს ხოლმე სხვა და სხვა საკითხი, რომლებსაც არაფერი საერთო არ ექნება ჩვენ სამშობლოსთან, და ამისთანა შემთხვევებში უსამართლობაა, ჩვენი შვილები სადღაც შორს—სომხეთში, ან ხივაში დაიღუპნენ. ყოველგვარი ენერგიის დახარჯვა უზარმაზარი იმპერიის მიზნებისათვის—ვერ თავსდება და არც ეთანხმება ფინლანდიის ხალხის ინტერესებსო“.

„სავალდებულო სამხედრო ბეგარა დაარსებულ იქნა 6 დეკემბერს 1878 წ., მაგრამ აქედან იმპერიამ ვერავითარი სარგებლობა ვერ ნახა, რადგან ეს ჯარი, ჯერ ერთი, რჩებოდა ადგილობრივ და დანარჩენ ჯარისაგან გათიშული იყო; მეორეც, ამ ბეგარას ფინლანდიელები მაინც და მაინც ხალისით არ ეკიდებოდნენ. 1901 წლის კანონით კონტინგენტი ახალგაზდებისა 1902 წ. გასაწვევად ჯარში—განსაზღვრული იყო მარტო 280 კაცით; 1903 და 1904 წლებში კი ეს ციფრი ჩამოვიდა 190 კაცამდე. მაშინ როდესაც, თუ მივიღებთ რუსეთის მცხოვრებთა რიცხვს 145,000,000 კაცს, ფინლანდიაში 3,00,000 კაცს და 460,000 ახალგაზრდას ჯარში გასაწვევად—ფინლანდიას უნდა გამოეყვანა სამსახურში 10,000 კაცი ყოველ წლივ, რაც სამწლოვან ვადის გამო—30,000. კაცს შეადგენს. მიუხედავად ამისთანა შეღავათისა, მცხოვრებლები მაინც ძალიან უკმაყოფილონი იყვნენ და ცდილობდნენ როგორმე ამისგანაც განთავისუფლებულიყვნენ. 3 ივნის 1904 წ. ღენერალ-ადიუტანტის ბობრიკოვის მოკვლამ, რუსეთის დამარცხებამ შორეულ აღმოსავლეთში და 1905 წლის მოძრაობამ—ხელი შეუწყვეს აქაურ პარტიებს და ფინლანდიის სეიმის მიერ შემუშავებულ ეგრედწოდებულ „დიდ პეტიციაში“ შეიტანეს მოთხოვნილება, რომ გაუქმებულიყო კანონი 1901 წლისა სამხედრო ბეგრის შესახებ. 22 ოქტომბერს 1905 წ. მართლაც გაუქმდა პირადად სამხედრო ბეგარის მოხდა მხოლოდ ახალგაზდების გაწვევის მაგიერ განსაზღვრული ჯამი ფულად უნდა ეხადნათ; მაგრამ ამანაც გამოიწვია წინააღმდეგობა, რაც იმით გამოიხატა, რომ ეს თანხა დროზე არ შეჰქონდათ საიმპერიო ხაზინაში და საქმესაც აკეთებინურებდა აქაური მმართველობა. ბოლოს, როგორც იყო, ეს საკითხი გადაწყდა საერთო სახელმწიფო კანონმდებლობით (გარეშე ფინლანდიის კანონმდებლობისა), ეს კანონი გამოიცა 17 ივნისს 1910 წ. თანახმად სახელმწ. საბჭოს და სახელმწიფო სათათბიროს კანონ-პროექტისა. შესატანი თანხა 1911 წლისა გამოანგარიშებულია 12,000,000 მილიონი მარკა და ყოველ წლივ 1,000,000 მარკა უნდა ემატოს; რომ შევადაროთ ეს გარდასახადი იმპერიის დანირჩენ მცხოვრებთა გარდასახადს დავინახავთ, რომ ფინლანდიაში სულზე მოდის 1 მან. 28 კაპ., იმპერიაში კი—4 მან. და 66,3 კაპ. ამას დაუმატეთ კიდევ ის, რომ ამ ქვეყნიდან არც ერთი კაცი არ გაჰყავთ ჯარში. სამხედრო თავდაცვა იმპერიისა კი უფრო და უფრო მეტს ხარჯს თხოულობს და იზრდება—ვიდრე ფინლანდიის მიერ სავალდებულო გადასახადი. აქედან თქვენ ნათლად წარმოგიდგებათ უპირატესობა ფინლანდიელებისა. რაკი თავისუფალნი არიან პირადი სამხედრო ბეგრისაგან, ამის გამო მუდამ წელს ამ ქვეყანას 30,000 მუშა ხელი რჩება და ეს კი უტყუარი საბუთია, რომ მხარე, როგორც ფიზიკურად, აგრედვე მატერიალურად, წინ წაიწევდა. ამას კიდევ მიუმატეთ ის გარემოება, რომ ფინლანდიის ხაზინა არ იღებს არც ერთ კაპიკს სამინისტროების შესახებ, როგორც, მაგალ., საზღვაო, იმპერატორის სასახლისა, გარეშე სამინისტროსი, და თქვენ ადვილად იგრძნობთ მათი ავტონომიური უფლებების სიფართოვეს.

„იაპონიასთან ომში—განაგრძობს იგივე სამხედ. ისტორიკოსი—რუსეთს რამდენიმე ასი ათასი კაცი დაეკლდა და სამ მილიარდზე მეტი მანეთი დაეხარჯა, ფინლანდიას კი არც ერთი წვეთი სისხლი არ დაუღვრია და არც ერთი პენი არ დაუხარჯავს.

1860 წლამდე აქ ხმარებაში იყო რუსული ფული, მაგრამ ამავე ხნიდან ფინლანდიის სენატის თაოსნობით 23 მარტს გამოიცა უმაღლესი მანიფესტი, რომლითაც დაარსებულ იქნა ამ ქვეყნისათვის განსაკუთრებული ერთეული ფულისა „მარკა“, რომელიც ეთანაბრება ვერცხლის რაოდენობით მანეთის ერთ მეოთხედს, ფინლანდიის ბანკს მიეცა უფლება ფულის მოჭრისა. ბანკირ როტშილდის და მის შვილებისაგან აიღეს სესხად 4,400,000 ტალარი (ტალარი დაახლოვებით 90 კ.) და 1872 წ. აშენა, რომელიც, ნუ დაივიწყებთ, საავალდებულო არ არის, ისწავლება როგორც საგანი და დათმობილი აქვს კვირაში, სამივე განყოფილებაში, 6 გაკვეთილი: 3 პირველ და მეორე განყოფილებაში (შეერთებული) და 3 მესამეში. თუ გავიხსენებთ ზემონათქვამიდან, რა ადგილი უკავია „განათლების“ სკოლაში (მოსამზადებელ კლასებში) სამშობლო ენას, აშკარად დავინახავთ, თუ რა დიდი განსხვაცება უნდა იყოს რუსული ენის ცოდნაში პირველ ძირითად კლასში გადასვლის დროს, მთავრობის პროგრამნაიის და „განათლების“ სკოლის მოწაფეთა შორის. ესევე გარემოება, რასაკვირველია, სულ სხვა პირობებში აყენებს სწავლის საქმეს ძირითად კლასებშიაც, სადაც გაკვეთილების რაოდენობა და განაწილება ერთგვარია, გარდა სამშობლო ენისა, რომელიც „განათლებისაში“ მაინც სჭარბობს.

ჩვენ აქ არას ვამბობთ სხვა, ერთგან ხელის შემწყობ და მეორეგან ხელის შემშლელ, პირობებზე, მაგ.: ყველამ ვიუწყით, რომ ყოველ წელს იძდენი ბავშვი აწყდება გიმნაზიებს, რომ ყველას მიღება, ადგილის სიმცირისა გამო შეუძლებელია; მაგრამ გიმნაზიები ამ საკითხს ადვილად და ძასთანავე თავის სასარგებლოდ სწყვეტენ: იღებენ უკვე მომზადებულებს, ასე რომ, მაგალითად, პირველ ძირითად კლასში შემსვლელმა, 10—12 წლის ბავშვმა, თითქმის უშეცდომოთ უნდა დასწერონ რუსული კარნახი. დავუმატოთ ამას ისიც, რომ გიმნაზიებს ეტანება უფრო შეძლებული კლასი, რომელთა შვილები უფრო ძომზადებულნი არიან, ხშირად ნაშუადღევს სახლში რეპეტიტორებიც ეხმარებიან და საჭიროა სასწავლო ნივთებით ხომ უზრუნველყოფილნი არიან. „განათლების“ სკოლაში კი დაიარებიან ისეთები, რომელნიც ხშირად საჭირო წიგნებსაც კი ვერ ყიდულობენ სავსებით, სწავლის ფული ხომ ათ-ათ შაურობით შეაქვთ.

ზემო ნათქვამიდან ცხადია, ასეთ უთანასწორ პირობებში ჩაყენებულ „განათლების“ სკოლას ყოვლად შეუძლებელია მოეთხოვოს რომ ძისმა მეოთხე კლასელებმა ეგზამენები ჩააბარონ და შესაფერი მოწმობა ძიღონ მთავრობის გიმნაზიებში.

ძართალია, არის ერთად-ერთი გზა ამ სურვილის განსახორციელებლად, თუძცა ეს გზა ძვირად დაგვიჯდება; სახელდობრ: ჩვენს სასწავლებელში სწავლა ისეთსავე პირობებში ჩავაყენოთ, როგორც მთავრობის პროგიმნაზიებშია, ე. ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიუგე—მკვლელი რომ დაეპატიმრებინათ, შენ აქ აღარ იქნებოდი მეთქი.

პროკურორი როგორი ურთიერთობა ჰქონდათ კნეინასა და თავ. ეჩას?

თავ. თენგიზი. თუ შეიძლება გამანთავისუფლეთ მაგისთანა კითხვაზე პასუხისაგან.

პროკურორი. უნდა სთქვათ. ნათესაობაში ამბობდით რასმეს მაგით ურთიერთობაზე?

— როგორ არა, ვამბობდით. თითონ დადიანს ვეუბნებოდი, რომ ცუდი ხმები იყო და წასულიყო ქალაქიდან.

— მთვრალი ხომ არასოდეს მოსულა თავ. დადიანი?

— ერთხელ მოვიდა. ზაფხული იყო და სახლში არეულები ვიყავით. კნეინას საწოლი ზალაში იყო. კნეინა უძეიფოდ იყო და იწვა. შემოვიდა დადიანი და კნეინას საწოლზე ჩამოჯდა. ყველანი ავღელდით. კნეინას ქალიშვილიც იქ იყო. მე წავავლე ხელი უჩას, გავიყვანე კარიდორში, იქ ქუდი დავხურე, ვკარი ხელი და გავაგდე.

ოთარ დადიშქ. რა გითხრათ უჩამ როცა თქვენ მიუგეთ: „მკვლელი რომ დაეპატიმრებინათ, შენ აქ აღარ იქნებოდიო?“

— არაფერი, გაბრუნდა და წავიდა.

— ჩემი ძმისწულის ეკატერინეს ხელის დაჭრაზე არაფერი იცით?

— როგორ არა, ვიცი. საავადმყოფოში გვიან მივედი და მიამბეს, რომ ეკატერინემ ხანჯალი აართვა ფალავას და უჩასკენ გაიწია მოსაკლავადაო.

— დადიანმა შემოგჩივლათ როდისმე თუ არა, რომ დადიშქილიანებმა სვანები დაიბარეს უჩას მოსაკლავადაო?

— შემომჩივლა.

— მერე, რათ ეგონა, რომ ჩვენ მისი მოკვლა გვინდოდა?

— ხმები დადისო ჩემსა და კნეინას შესახებ და ამიტომ უნდათ ჩემი მოკვლაო.

— ხომ არ გაგიგიათ, ვითომ მკვლელები დაეძებდნენ კიდეც დადიანს?

— გავიგე, მითხრეს, ვითომ ერთ საღამოს ორი კაცი მისულიყო იქ, სადაც უჩა დადიანი იყო. მაგრამ ეთქვათ, რომ უჩა აქ არ არისო.

— ვინ გითხრათ ეგ ამბავი?

— კნეინა ბაბილინამ.

თავ. თენგიზ ერისთავის ჩვენების შემდეგ დიხხან ილაპარა თავ. უჩა დადიანმა. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ უჩა დადიანი მშვენივრად ლაპარაკობს და ყველაზე მეტ კითხვებს თითონ ის აძლევს მოწმეებს. მან, სხვათა შორის, სთქვა თავ. თენგიზზე: ეგ მოწმე ეხლა ჩემ წინააღმდეგ ლაპარაკობს სხვების ჩაგონებით და ალბად კიდევ იმიტომ, რომ მე მაგას არაფრად ვაგდებდი. მე მაგასთან დაახლოვებული არასოდეს არა ვყოფილვარ. ჩვენი ურთი-ერთობა იმით განისაზღვრებოდა, რომ ხან ხუთ მანეთს, ხან თუმანს და ხან კიდევ 15 მანეთს მესესხებოდა ხოლმე. მე არაკი ვინიშნავდი ამ ფულს, რადგან ვიცოდი, რომ არ მივიღებდი. მოწმემ სთქვა, რომ ვკარი ხელი და სახლიდან გავაგდეო. ყველა, ვინც-კი მე მიცნობს, მიხვდება, რამდენად მართალია ეს სიტყვები. ჩემთვის ღმერთს ჯან-ღონის მეტი არაფერი მოუცია და მე მგონია ამ ჯანღონის გამოყენება ყოველთვის ვიცოდი. მაგან ხელი მკრა და გამაგდო, ხოლო მე ხმაც-კი არ ამოვიღე. ეს არა თუ შესაძლებელი, წარმოსადგენიც არ არის:

თავ. ლევან დადიშქელიანი (განსვენებულ ალექსანდრეს ბიძაშვილი) მკვლელობის დროს ლეჩხუმში ვიყავი. მაშინვე ქუთაისს ჩავედი. ყველანი ამბობდნენ—უჩამ და მისმა კაცებმა მოჰკლეს ალექსანდრეო. შემდეგ, როგორც ქართული გაზეთის რედაქტორს, საპუროობილეში ჯდომა მომიხდა. იქვე ისხდნენ ბრალდებულნი კახიძე, ალშიბაია და სხვები. სხვა ტუსაღებმა მიამბეს ამათი ნალაპარაკევი: სწუხდნენ თურმე და ამბობდნენ—უჩამ თავისი თავიც დაიღუპა და ჩვენც დაგვღუპაო.

პროკურორი. როგორ განწყობილებაში იყავით განსვენებულ თავად ალექსანდრესთან?

— ვერა მქონდა კაი განწყობილება. არა თუ ალექსანდრესთან, მამა ჩემთანაც ვერ ვიყავი კარგად. მიზეზი პოლიტიკურ ხასიათისაა, 1905 წელს ჩვენი გზები ერთმანეთს დაშორდნეს.

თავ. უჩა დადიანი. ხომ არ გახსოვთ ასეთი შემთხვევა: მე მოგიწვიეთ სადილად ტფილისში, ვეტცელის სასტუმროში, მაგრამ თქვენ იძულებული იყავით წასულიყავით, რადგან ამ დროს განსვენებული ალექსანდრე მოვიდა?

— მახსოვს. მახსოვს ისიც, რომ თქვენ ბევრი მთხოვეთ დავრჩენილიყავ, მაგრამ მე მაინც არ დავრჩი.

ალშიბაია. მოწმემ განაცხადა, ვითომ ჩვენ ციხეში გვეთქვას, რომ უჩამ თავისი თავიც დაიღუპაო და ჩვენც დაგვღუპაო. ვინ გადასცა, ან როგორ გადასცეს ეს ვითომ ჩვენი სიტყვები? ეგ ძირითა სართულში იჯდა, ჩვენ-კი მეორე, ზედა სართულში. ქუთაისის საპატიმროში სასტიკი წესები იყო მაშინ და პირველსა და მეორე სართულში მსხდომნი ერთმანეთს სულ ვერა ჰხვდებოდნენ ვერც სეირნობის და ვერც სხვა დროს.

კახიძემაც. მხარი დაუჭირა ალშიბაიას და სხვათა შორის, სთქვა: ეგ თითონ ციხეში იჯდა და ძალიან კარგად იცის—ვინ არის ნამდვილი მკვლელი და ვინ არა? საპატიმროში ყველაფრის გაგება შეიძლება და მაგნაც გაიგო ნამდვილი მკვლელის ვინაობა.

მარტყოფის ვითარება *)

სოფელი მარტყოფი ერთი უძველეს და უდიდეს სოფელთაგანია და თავისი მდებარეობით და გარეგნობით კაი შთაბეჭდილებას ახდენს ხოლმე მგზავრებზე. ამ სოფელში ითვლება უკანასკნელი აღწერით 1020 კომლი 4843 სულით, რომელთაგან 2133 ქალია და 2707 კაცი. მარტყოფს უჭირავს სულ 16137 დესეტინა მიწა. აქედან სახნავია 8446 დეს. და დანარჩენი 7691 დეს. საძოვარია და სხვა. მარტყოფში არის: 3 მართმადიდებელი და ერთი გრიგორიანების ეკლესია; 1 სამინისტრო ერთ-კლასიანი და 1 სამრევლო სკოლა 122 ვაჟით, 65 ქალით; საფერშლო პუნქტი; სამკითხველო; საკრედიტო ამხანაგობა და თეატრი. (აღსანიშნავია, რომ ყველა ეს დაწესებულება სხვა და სხვა მიზეზის გამო თავის დანიშნულების ერთ მეთოდს ძლივს ასრულებს). ამ დაწესებულებებით განისაზღვრება ჯერ-ჯერობით კულტურულობა, ავკარგიანობა მარტყოფისა. მიუხედავად სკოლაში მოსიარულეთა რიცხვის სიმცირისა, აქ 40 პროცენტზე მეტი წერა-კითხვის მცოდნეა. მეურნეობის მხრივ, როგორც მეტი წილი ჩვენი სოფლებისა, მარტყოფიც საყურადღებოს არას წარმოადგენს. ყოველივე ძველებურია, ძამა-პაპური და ამიტომ ამ მხრივ ჩვენ, მარტყოფელები, სამწუხაროდ, გასახარელს ვერას ვიტყვით, პირიქით, ყველაფერში ვსაჭიროებთ გამოცდილ ხალხის დახმარებას, ხელმძღვანელობას. ამ დიდს, მაგრამ მოუწესრიგებელ სოფელში 20—30 კომლის გარდა სულ გლეხობაა. ინტელიგენცია მცირედია, სუსტია და ისიც უმოქმედო, რის გამოც აიხსნება ის გარემოება, რომ მათ ნდობა არა აქვთ ხალხში დამსახურებული. ჩვენ, მარტყოფელებს, ჩვენი სოფლის ეკონომიური ვითარების შესახებ შეგვიძლია ვსთქვათ ყოველივე 1912—1913 წ. წ. სტატისტიკური ცნობებით. აქაური სამეურნეო ცოდნას მოკლებული, ხალხი გამრჯელია და მისდევს მეტწილად ხვნა-თესვას, მესაქონლეობას და სხვა ქვემოდ დასახელებულ დარგებს ძამა-პაპური წესით.

1) პირველი დაუმთავრესი დარგი, როგორცა ვსთქვით, ხვნა-თესვაა. მუდამ წელს დაახლოვებით იხვნება 4300 დესეტინამდე, რომელიც იძლევა ორთა-შუა რიცხვით 60000 კოდ მოსავალს, პურსა და ქერს; სხვას აქ არაფერსა სთესენ. ხნავენ ქართული 8 უღლიანი გუთნით და მეტ წილად კიდევ „უტცის“ ლურჯის გუთნით. სულ გააქვთ ხოლმე სახნავად 110 გუთნამდე. სახნავი ადგილები მეტწილად ვაკეებია, როგორც, მაგალითად, ქაცნია, ულევარი, ლალიანი, სამგორი და სხვა. შედეგი ამ ხვნა-თესვისა დამაკმაყოფილებელი და მოჯარბებულიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ სოციალური უთანასწორობის გამო ბევრს, ძალიან ბევრს გაზაფხულამდე ძლივს ჰყოფნის ხოლმე პური არსებობისა.

2) მესაქონლეობა რაოდენობით დიდია, მაგრამ შეუძლებელია და დაბალი ხარისხისა. მუშა საქონელი, ხარ-კამეჩი ითვლება 2200 სული, ცხენი 320 სული, ძროხა 1400 სულზე მეტი და სხვაგვარი წვრილ-ფეხა საქონელი 1000 სულამდე. მუშა საქონელი ჭყავთ ხვნა-თესვისათვის და ქალაქში შეშია და ბზის ჩასატანად, კერძოდ ცხენები კი მარტო კვერებისათვის. ძროხებს მხოლოდ სანაშენოდ ინახავენ. მიუხედავად რაოდენობის სიდიდისა, აქ საქონელს ფასიც დიდი აქვს.

3) მეცხვარეობა ჩაითვლება ერთ საუკეთესო დარგად 70—80 კომლისათვის, რომელნიც უკიდურესად ავიწროვებენ ხალხს, თავიანთი 16000 სული ცხენით, რადგან მიჩენილ ადგილებით არ კმაყოფილდებიან. მეცხვარეები მუდამ წელს ჰყიდიან 1000 ფუთზე მეტ მატყლს და ერთ ამდენსავე ყველს, თითქმის რომ ერთის ფასით, ფუთს 7—8 მანეთად. სამწუხაროდ, მატყლს ჩარჩები ჰყიდულობენ, რომელთაც წინ-და-წინვე აქვთ ხოლმე დაბეჭდული.

4) მეფუტკრეობას მისდევენ ძლიერ ნაკლებად, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც საპატიო ადგილიც უჭირავს სოფლის მეურნეობის დარგებში. სულ მარტყოფში არის 425 სკა, ამათგან 100 სკაზე ცოტა მეტი ჩარჩოიანია, „დადანის“ სისტემისა და დანარჩენი გეჯებია. თაფლი და სანთელი, საშუალოდ, ყოველ წელს 2000 მანეთამდე იყიდება.

5) სათიბ-საკვები მინდვრები ცოტაა და ისიც უმეტესობისათვის უსარგებლო, რადგანაც შემოდგომიდან ზაფხულის პირამდე დაბანაკებული ცხვარი დიდ ზიანს აძლევს ბალახს; ამიტომ გლეხობა თავის მორბედებთ იძულებულია უთივობის გამო ზამთარ-ზაფხულ მინდორში იყოლიოს საქონელი და აწიწკნინოს ბალახი.

6) მევენახეობა, მებაღეობა და მებოსტნეობა ზომით სულ 215 დეს. იტევს მაგრამ სანუგეშოს, თვალსაჩინოს არას წარმოადგენს, ნამეტნავად ფილოქსერის შემდეგ, თუ ანგარიშში არ ჩავაგდებთ რამდენიმე ურმით ვაშლის და მსხლის „ქალაქის ბაზარზე“ გასაღებას ნახევარ ფასად. საპატიო მიზეზების გარდა, ამ დარგის დაქვეითებისა არის უწყლობა. სოფელში თუმცა ბევრი წყაროა და კარგი თვისებისაც, მაგრამ უყურადღებობისა და ტყეების გაჩეხის გამო ზაფხულობით თითქმის შრება ხოლმე.

7) მარტყოფის საზოგადოებას თანხად შენახული აქვს 10309 მ. 99 კ. „მაღაზიის ფული“ და კიდევ შესატანია 6700 მანეთი, რომელიც გამოტანილი იყო სახნავი მიწის საყიდლად.

8) ხარჯთ-აღრიცხვა სოფლისა საანგარიშო წელს 4141 მანეთი, სასოფლოა და 9348 მ. 30 კ. სახელმწიფო, ასე რომ, საშუალოდ, მუდამ წელს მარტყოფი იხდის 1300—5000 მან. მანიფესტის შემდეგ „ნედოიმკებით“ სოფელს გადასახდელი აქვს 25000 მანეთზე ცოტა მეტი.

9) ვაჭრობის მხრივ მარტყოფი ჩამორჩენილია, რადგან პირველ საჭიროების სანოვაგე ძალიან ძვირია და დაბალი ხარისხისაც. სულ მარტყოფში ითვლება 35 დუქანი, აქედან 9 ფართლეულობისა, 12 ღვინისა (ს. ხაშმში-კი არც ერთი) დანარჩენი 14 დუქანი საწვრილმანოა.

10) წისქვილები სულ 35-ია, აქედან 8 წისქვილი ჩარხისაა (ორი ცხენის ძალისა თითო). და 27 ღარისა. (ცხენის ნახევარი ძალისა).

ზემოდ დასახელებულ კულტურულ დაწესებულებათაგან კაი შთაბეჭდილებას ახდენს საკრედიტო ამხანაგობა. მასში ითვლება 800 წევრამდე. საწარმოო თანხა ეთანაბრება თითქმის 25000 მანეთს, აქედან 19000 მანეთი, სახელმწიფოა და დანარჩენი კი მოგებარებული და საამხანაგო თანხაა. წელს მოსალოდნელია 1000 მ. წმინდა მოგება... ეს ამხანაგობა უფრო წინ წავიდოდა თუ რომ დაარსებული ჰქონდა ამგვარ ამხანაგობათა კავშირი, რადგან საწარმოო თანხის განსაზღვრულობას კავშირით ბევრი რამ ეშველებოდა.

აი, ყოველივე ეს, რაც შეიძლება გაკვრით ითქვას მარტყოფის საზოგადო ცხოვრებაზე და ეს რიცხვთა ცხრილია სწორედ რომ გვიკარნახებს ჩვენ, სოფლელებს, ჩვენს უმოქმედობას. რაც შეეხება ამ ნაკლით სავსე ცხოვრების გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა მიღებას, ამის შესახებ მარტყოფელები გარე-კახეთის მეურნეთა მიერ შემუშავებულ პროგრამით იქონიებენ ესჯელობას.

პეტრე ჭილაშვილი.

*) ეს მოხსენება წაკითხული იყო სოფ. საგარეჯოში გამართულ სამეურნეო თათბირზე.

რუსეთი

სამი გიმნაზიელის მიერ თავის მოკვლა.

ქალაქ ყაზანში თავი მოიკლა სამმა გიმნაზიელმა მესამე, მეოთხე და მეხუთე კლასის მოწაფეებმა. მოკლულის გარშემო ეყარა წიგნები და რვეულები. დღისით ისინი სკოლაში იყვნენ, მაგრამ სახლში არ დაბრუნებულან. იქვე იპოვეს ერთი რევოლვერი სამი გასროლილი ტყვიით. ეტყობა, ერთს მოუკლავს თავისი ამხანაგები და მერე თავიც მოუკლავს. არავითარი წერილი არ აღმოაჩნდათ, თუ რად დაიხოცეს თავი. ერთი მოწაფის დედა თეატრში იყო თურმე, როდესაც ეს ამბავი გაიგო.

აკადემიკოსი ბეხტერევი.

სამხედრო-საექიმო აკადემიის სტუდენტები დიდის ოვაციით შეხვდნენ პროფ. ბეხტერევის ლექციას. დაუსრულებელი ოვაციით შეხვდნენ პროფესორს ქალთა საექიმო კურსების მსმენელებიც. ბეხტერევმა სიტყვით მიმართა მსმენელთ: მოელს ჩემს ძალ-ღონეს მეცნიერებას და განათლებას ვანდომებდი. განსაკუთრებით ქალთა განათლებას მინდა ვემსახურო. ჩემს მძიმე მუშაობაში იმედად ჩემი მსმენელები მყავდაო. ამ დღეებში მოელიან განკარგულებას ბეხტერევის სამხედრო საექიმო აკადემიისა დათხოვნის თაობაზე. პროფ. ბეხტერევი რუსეთის გამოჩენილი მეცნიერია, დიდად უყვარდა და უყვარს მოსწავლე ახალგაზდობას და, რა გასაკვირველია, რომ ასეთი ადამიანის დაშორებამ გული დასწყვიტა სტუდენტობას.

ბიბლიოგრაფია

„მცენარეები და ცხოველები ცხელი ქვეყნებისა“, შედგენილი ალ. ჭიჭინაძის მიერ, გამოცემა „ჯეჯილის“ რედაქციისა.

ძლიერ ღარიბია ჩვენი საყმაწვილო ლიტერატურა, მას ყველაზე ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული და თუ დასწერა ვინმემ რამე ისიც შემთხვევით. ორი სამი კაცი თუ მოიძებნება, რომელიც პატიოსნად და სამადლოდ ემსახურება ამ კეთილ საქმეს, თორემ ჩვენი ბავშები ღვთის ანაბარად იქნებოდნენ მიტოვებული. მაშინ, როდესაც საზღვარ-გარედ, თუ რუსეთში არსებობს სხვა და სხვა საზოგადოება, კომისიები, რომელნიც გამუდმებით თვალ-ყურს ადევნებენ საბავშო ლიტერატურას, არსებობს მძლავრი საგამომცემლო ამხანაგობები (მაგალითად, რუსეთში „სიტინისა“), ჩვენში არამც თუ მხატვრულ გამოცემებს ვერ ეღირსება ბავშვი, არამედ უბრალო წიგნაკიც კი სანატრელი გახდომია. ორი საბავშო ჟურნალი არსებობს და ისინიც ერთი ხვეწნა-მუდარით შოულობენ შესაფერ მასალას.

ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვის ჟურნალ „ჯეჯილსა“ და „ნაკადულის“ რედაქციებს, რომელნიც გულწრფელად ემსახურებიან ბავშვების აღზრდა-განათლების საქმეს. ხანგამოშვებით ამ რედაქციების საფასით იბეჭდება მშვენიერი წიგნები. ბ. ჭიჭინაძის ეხლახან გამოსული წიგნიც მნიშვნელოვანია და ცხელი ქვეყნების ფლორა-ფაუნის გაცნობის დროს დიდ სამსახურს გაუწევს ბავშებს. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ ზოგიერთი ნაკლიც, რომელიც თუმცა არც ისე მნიშვნელოვანია, მაგრამ სასურველია შემდეგში თავიდან იქნას აცილებული. თუმცა ავტორს, ბევრი რამ საყურადღებო ცნობა შეუტანია წიგნში, მაგრამ მასალას სისტემატიურობა აკლია. გარდა ამისა ცნობები მშრალია, ბევრსაც განმარტება ესაჭიროება. აგრედვე მეტად საყურადღებოა კორექტურაც, თორემ ბავში „კოაოსის პალიძას“ შეისწავლის „კოკოსის“ მაგიერ (გვერდი 13.), „მაიმუმს“ მაიმუნის მაგიერ (გვ. 116). საჭიროა ენასაც მეტი ყურადღება მიექცეს. მაგალითად, ...„დიდროანი ჯიშის მაიმუნები ზოგიერთები ბუნაგს იკეთებენ ხეებზე, მაგრამ **სადიდხნო** როდია მათი ბუნაგი“..., „საზრდოს ძებნაში რომ არიან, ამის

„ჯეჯილის“ ... ბულ ფინებს, კაი მდგომარეობაში ძყოფთ, რომელნიც შვედის გაგონებაზე ინსტინქტიურად ძუშტებს შეჰკრავენ.

ფინლიანდიელებს კიდევ ის უპირატესობა აქვთ იმპერიის დანარჩენ მცხოვრებთა შორის, რომ საზღვარგარეთ გასასვლელად ისინი იხდიან ძოლოდ სამ მანეთს ხუთის წლის ვადით, განუსაზღვრელად წასვლა-ძოსვლაზე მაშინ, როდესაც შვედები 15 მანეთს, ისიც ნახევარი წლითა.

იგივე მკვლევარი ამბობს, რომ არც ისე უმწეოა და მწირი ეს მხარე, როგორც ფინები წუწუნებენო. პირიქით ამ ქვეყნის ტყეები წარმოადგენს დაუშრეტელ განძს, რომელიც ადვილად იქცა ქვეყნის გასაძიერებელ საშუალებად, ძეტადრე უთვალავ ტბების, მდინარეების და გაოს შემორტყმულ ხეების წყალობითო. ფინლიანდია მდებარეობს ორ სატახტო ქალაქს შორის პეტერბურგისა და სტოკჰოლმისა. იგი სარგებლობს უზარმაზარი მუქთა მამოძრავებელი ძალით—ჩანჩქერებითა, რომელნიც სულ ცოტა სამი მილიონი ცხენის ძალისა იქნებიან. 200-მდე ხე ტყის ქარხანა და 1500 წისქვილი სარგებლობს ამ ყამად ამ მუქთა ენერგიით, არაფერს ვიტყვით დანარჩენ ქარხანა-ფაბრიკებზე.

აღსანიშნავი არის კიდევ ის გარემოება, რომ ფინლიანდიაში ნახავთ ძეგლებს აგებულთ იმ ადგილებში, სადაც რუსეთის შვილებთან ბრძოლაში ჯარი დამარცხებულა (მაგალ. იუტასთან, ალაგოსთან, ვირტასთან, ლაპოსტთან და სხვ.).

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მხარეში ძალიან ბევრი აგარაკი და სანატორიუმებია მოწყობილი მეცნიერების უკანასკნელ მოთხოვნილების თანახმად, ამიტომაც დიდი ძალი შეძლებული ხალხი ეტანება აქაურობას და ბევრ ფულსაც სტოვებენ ამ ქვეყანაში.

ერმალოზ კახი.

ნებულ იქნა ჰელსინგფორსში ზარაფხანა“. იგივე მკვლევარი შენიშნავს ამის გამო,—„აღსრულდაო—ფინანსიური დამოუკიდებლობა ფინლანდიისა—იმპერიისაგან“.

ფინლანდიის სენატი განაგებს ადგილობრივ მინაურ საქმეებს, როგორც სამოქალაქო, სამეურნეო, აგრედვე სასამართლოს ყველა ინსტანციაში. სენატი იყოფა ორ დარგად—სამეურნეო და სამოსამართლო. სენატის თავმჯდომარედ ითვლება ენერალ-გუბერნატორი, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს ადგილობრივ მართველობის ორგანოებს; სწორედ სენატში სხდომის დროს იქნა მოკლული ბობრიკოვი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ფინლანდიელების მისწრაფებას, შაუმენის მიერ, რომლის ხალათი ერთს ხანს ბორგოს მუზეუმში ინახებოდა საჩვენებლად.

6 სექტემბერს 1863 წ. დიდის ამბით გაიხსნა თვით იმპერატორ ალექსანდრე II მიერ ადგილობრივი სეიმი. ფინლანდია, რასაკვირველია, გახარებული და აღტაცებული იყო ამით. აი, რასა სწერდა მაშინ ამის გამო აქსაკოვი: „ფინლანდია მხიარულობს და ჰხარობს, აგრედვე რუსეთიც გულწრფელად იზიარებს ამ სამართლიან და ბუნებრივ სიხარულს პატიოსან, ფხიზელ და ჯანმრთელ ფინლანდიელებისას... ეს შემთხვევა, ე. ი. სეიმი, უეჭველია, გამოიწვევს სათანადო შთაბეჭდილებას საზოგადოებრივ აზრზე ევროპაში და დაუმტკიცებს მათ, თუ როგორ არხეინად და თავისუფლად შეუძლიათ ცხოვრება და ბედნიერად ყოფნა რუსეთის ძლიერების ქვეშე თუნდ სხვა ეროვნებას, თუ კი მათი კულტურული განვითარება და წინსვლა არ ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესებსა, ე. ი. თუ არ სწარმოებს სულიერი სიძულვილი იმპერიისადმი... რა ცოტა გვაქვს ჩვენ რუსებს სურვილი, რომ გადავგვაროთ არა რუსები, პირიქით რუსეთმა თავისი ინტერესებიც ვერ დაიცვა,—ამიტომ ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ სეიმი ეხლა მაინც მიაქცევს სათანადო ყურადღებას რუსების უმწეო მდგომარეობას და მისცემს მათ საშუალებას ისარგებლონ იმავე უფლებებით, რომლითაც აღჭურვილნი არიან მკვიდრნი“-ო. მართლაც ამ მხრივ რუსები აქ მოკლებულნი იყვნენ ბევრ უფლებას, მაგრამ იმედი არ გამართლდაო, დასძენს იგივე ოფიციალური მკვლევარი,—დამოკიდებულება შეიცვალა უარესობისაკენ, მათ ყველაფერი თავისი უნდათ და რუსებთან კავშირს რაც შეიძლება ერიდებიანო. არ ცდილობენ, წარმოიდგინეთ, სახელმწიფო ენა მაინც შეისწავლონო“. ამავე სამოციან წლებში პოლიტიკური ცხოვრება რთულდება და ჩნდება სხვა და სხვა პარტია: ფინომანები (ძველი ფინები), შვედმანები და ახალგაზდა ფინები. ფინომანების პროგრამა გამოიხატება იმით, რომ ხალხის მასა აზიარონ ევროპიულ კულტურას, და ამით წინ წასწიონ თვისი სამშობლო, როგორც ეკონომიურად, აგრედვე კულტურულად. ამისთვის უნდათ მათ ხალხის ენა გახადონ ლიტერატურად და აგრედვე განათლებისა და ადმინისტრაციის ენად. ფინომანებს ჰსურთ შეჰქმნან განათლებული კლასი, რომელიც ილაპარაკებს ფინურად, განათლება არ უნდა იყოსო მონოპოლია მარტო მაღალ საზოგადოებისა, არამედ იგი ფართო მასაში უნდა შევიდესო.

საჭიროა აღიარებულ იქნას ენის უფლება, რომელზედაც საუბრობს თვითო ერი. ბატონობა კი ერთი ენისა და ისიც მცხოვრებთა მცირე რიცხოვანისა (ე. ი. შვედებისა) მათი აზრით,—დიდი უსამართლობაა და ხელის შემშლელი ხალხის განვითარებისა.

ამ პარტიას ბოლოს გამოეყო ფრაქცია, ეგრედწოდებული „ახალგაზდა ფინები“. ეს პარტია იმ ელემენტებისაგან შესდგება, რომელნიც ვერ ურიგდებიან ფინომანების ზომიერებას ნაციონალურსა, რელიგიურსა და სხვა კითხვებში. ესენი უფრო დემოკრატიულ მოთხოვნილებასა ადგენენ. შვედომანების პარტია კი შესდგება შვედებისაგან ⅞ მთავარი საგანი მათი პროგრამისა არის შვედური ენის დაცვა და აგრეთვე ეროვნული დროშის განმტკიცება მცხოვრებთა შორის. მათ არა ნაკლები ღვაწლი და შრომა მიუძღვით საერთო სამშობლოს საკეთილდღეოთ, რადგან ესენი უფრო შეურიგებელნი არიან რუსეთის მთავრობასთან და მომხრენი რომ უფრო გაფართოვონ ავტონომიური მართველობა ამ ქვეყნისა. ამასთანავე ფინებსა და შვედებს შორის არსებობს ანტოგონიზმი პირველობის გამო, მაგრამ როცა საჭიროა იერიშის მიტანა საერთო მტერზე, მაშინ ყველანი ერთდებიან. ერთი სიტყვით იმპერიის მთავრობას ამ მხარეში არავინა ჰყავს მომხრე. ყველა პარტია აღიარებს ფინლანდიას ცალკე სახელმწიფოდ.

სოციალ-დემოკრატებიც კაი საგძნობ ძალას წარმოადგენენ ამ ქვეყანაში. იმათ თავიანთი ბრძოლის ქვა-კუთხედად სამშობლოს კეთილდღეობა მიაჩნიათ. სწორედ ფინლანდიის სოციალდემოკრატია არის მედგარი დამცველი თავიანთი ტერიტორიალური ავტონომიური მმართველობისა!

დღევანდელი სეიმის დარბაზი ლოთრანგების ტაძარს წააგავს. ერთ კუთხეში ამაღლებულ ჯავარიან კლდის კვარცნელბეკზე ამართულია ბრინჯაოს ტრადიციონური ქანდაკება, რომელიც გამოჰხატავს ფინლანდიას,—დედაკაცის სახით ერთ ხელში მახვილით და მეორეში ფარით, რომელსაც წარწერა აქვს—„სამართალი“ და ზედვე გამოხატულია აგრეთვე ფინლანდიის ლომი, ამ ქანდაკების მახლობლად ამაღლებული ალაგია სეიმის თავჯდომარისათვის, ცოტა დაბლა კი ორი კათედრაა ორატორებისათვის. მთავრობის წარმომადგენლებისათვის მარცხნივაა ალაგი, პრესისა—მარჯვნივ. სეიმის 200 დეპუტატისათვის კი დანარჩენი საკრებულოა დათმობილი.

ჰელსინგფორსის უნივერსიტეტი 250 წელიწადზე მეტია, რაც დაარსებულია და ოამამად შეიძლება ეწოდოს მას როგორც საპოლიტიკო აკადემია, აგრეთვე მეცნიერების ტაძარი, მისი ცხოვრება არ არის მოკლებული ინტერესს. მისი სტუდენტების კორპორაციები სარგებლობენ ფართო თავისუფლებით. უნივერსიტეტის დისციპლინა ჩინებულია, მაგრამ, როგორც შენიშნავს მკვლევარი, ამ უკანასკნელ საუკუნეში პოლიტიკა სჭარბობს მეცნიერებასაო. მის გამოჩენილ პროფესორებს იცნობენ უფრო როგორც პუბლიცისტებს, ვიდრე მეცნიერებსა და სწავლულებს. მასწავლებელთა და მოსწავლეთა საერთო დევიზად დარჩა ფორმულა არვიდსონისა:—„შვედებად ჩვენ მეტი აღარ შეგვიძლიან ვიყოთ, რუსობაც არ გვინდა—მაშ, დავრჩეთ ისევ ფინებათო“,—პრაქტიკაში კი ეს გამოიხატა იმ იდეის გავრცელებით, რომელიც ანცალკევებს ამ განაპირა კუთხეს რუსეთისაგან. ამავე უნივერსიტეტიდან გამოვიდაო თეორია ფინლანდიის სახელმწიფოებრიობისა.

„სამოციან წლებში კიდევ შეიძლებოდა გვეხახა აქაურ პროფესორთა ძალის ისეთნი, რომელნიც ფინლანდიაზე ლაპარაკობდნენ ისე როგორც პროვინციაზე, მაგრამ ამ უკანასკნელ ნახევარ საუკუნეში კი ასეთებს ვეღარ ნახავთ. იქ, სადაც გამწვავებული პოლიტიკური ბრძოლა და პროპაგანდა იყო, მთავარ ორატორებად, და ხელმძღვანელებად პროფესორები გამოდიოდნენ. არც ერთი მოძრაობა ამ მხარეში უიმათოდ არ მომხდარა. მათ მოძღვრებას რომ დაუჯეროთ, გამოდის, რომ დასაბამად სინათლისა და კულტურისა ითვლება შვეცია, წყვდიადისა და ძალადობრეობისა კი რუსეთი“. როგორც პოლიტიკურ, აგრეთვე კომერციულ ცხოვრებაში ორ ძთავარ ეროვნებას, რომელებთაც დასახლებულია ფინლანდია—ფინებს და შვედებს დიდი ხანია, რაც სიძულვილი და ქიშპობა აქვთ ერთმანეთ შორის. როგორც ფინები, აგრეთვე შვედები შემოფარგლულ ეროვნულ კალაპოტში არიან მოქცეულნი. ურთიერთ შორის ნაციონალური ანტოგონიზმი უმაღლეს წერტილამდის არის ასული. ეს ბრძოლა, რასაკვირველია, კულტურული საშუალებით სწარმოებს და აქ ვერ ნახავთ მზგავს რასმე, როგორც მაგალ. ებრაელების აწიოკება და ან სომეხთათართა შეტაკება. ეს მათი ქიშპობა-შეჯიბრება პირიქით ხელს უწყობს მათ საერთო სამშობლოს წინმსვლელობას, მიუხედავათ იმისა, რომ თქვენ ხშირად შეხვდებით განათლებულ ფინებს, კაი მდგომარეობაში მყოფთ, რომელნიც შვედის გაგონებაზე ინსტინქტიურად მუშტებს შეჰკრავენ.

ფინლიანდიელებს კიდევ ის უპირატესობა აქვთ იმპერიის დანარჩენ მცხოვრებთა შორის, რომ საზღვარგარეთ გასასვლელად ისინი იხდიან ძოლოდ სამ მანეთს ხუთის წლის ვადით, განუსაზღვრელად წასვლა-ძოსვლაზე მაშინ, როდესაც შვედები 15 მანეთს, ისიც ნახევარი წლითა.

იგივე მკვლევარი ამბობს, რომ არც ისე უმწეოა და მწირი ეს მხარე, როგორც ფინები წუწუნებენო. პირიქით ამ ქვეყნის ტყეები წარმოადგენს დაუშრეტელ განძს, რომელიც ადვილად იქცა ქვეყნის გასაძიერებელ საშუალებად, ძეტადრე უთვალავ ტბების, მდინარეების და გაოს შემორტყმულ ხეების წყალობითო. ფინლიანდია მდებარეობს ორ სატახტო ქალაქს შორის პეტერბურგისა და სტოკჰოლმისა. იგი სარგებლობს უზარმაზარი მუქთა მამოძრავებელი ძალით—ჩანჩქერებითა, რომელნიც სულ ცოტა სამი მილიონი ცხენის ძალისა იქნებიან. 200-მდე ხე ტყის ქარხანა და 1500 წისქვილი სარგებლობს ამ ყამად ამ მუქთა ენერგიით, არაფერს ვიტყვით დანარჩენ ქარხანა-ფაბრიკებზე.

აღსანიშნავი არის კიდევ ის გარემოება, რომ ფინლიანდიაში ნახავთ ძეგლებს აგებულთ იმ ადგილებში, სადაც რუსეთის შვილებთან ბრძოლაში ჯარი დამარცხებულა (მაგალ. იუტასთან, ალაგოსთან, ვირტასთან, ლაპოსტთან და სხვ.).

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მხარეში ძალიან ბევრი აგარაკი და სანატორიუმებია მოწყობილი მეცნიერების უკანასკნელ მოთხოვნილების თანახმად, ამიტომაც დიდი ძალი შეძლებული ხალხი ეტანება აქაურობას და ბევრ ფულსაც სტოვებენ ამ ქვეყანაში.

ერმალოზ კახი.

გამო ხან ერთ ადგილას დაბინავდება და ხან მეორეს;“... (გვერდი 109.).

რასაკვირველია 35 კაპ.-ად შეუძლებელია მეტის მოთხოვნა, მაგრამ საჭიროა კლიშეებიც უკედ იყოს დამზადებელი და სურათებიც ტექსტს ეთანხმებოდეს. ყველა ეს, რასაკვირველია, ფასს არ უკარგავს ბ-ნ ჭიჭინაძის თხზულებას. იგი დიდი განძია ჩვენი ღარიბი საბავშო ლიტერატურისათვ ს და სიამოვნებით ვურჩევთ მშობლებსა და სკოლებს მის შეძენას.

კორდელი.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

25 სექტემბერი.

უცხოეთი.

ვენა. გალიციაში საარჩევნო რეფორმის დამარცხებისა და უკრაინელთა უნივერსიტეტის გახსნის დაგვიანების გამო, უკრაინელთა კლუბი რეიხსრატში საოპოზიციო ტაქტიკას დაადგება.

სტამბოლი. მთავრობა ბულგარეთისაგან გამოითხოვს ნებართვას, ერთობისა და პროგრესის კომიტეტის საქმის მწარმოებელი ფეხტი-ბეი სოფიის ელჩად დანიშნოს.

ტოკიო. პრესა თავდაჭერით შეხვდა იუნშიკაის პრეზიდენტად არჩევას. გაზ. „ოსაკ-სიმხუნი“ სწერს: იუნშიკაი ვერ დაამყარებს მშვიდობიანობას ჩინეთში, არამედ დაიჩქარებს ჩინეთის დაღუპვას. გარეშე სესხები, რომელთაც ასე გაამგრეს იუანშიკაის მდგომარეობა, ჩინეთს ეკონომიურს სიღატაკესა და შემდეგ პოლიტიკურს დაყოფას უქადისო.

მადრადი. პუანკარეს სასახლეში სადილი გაუმართეს. სადილზე მეფემ და პუანკარემ ერთმანეთი ადღეგრძელეს.

ბეირუტი. აღმოჩნდა ნავთის დიდი წყაროები, რომლის კონცესია აიღო პრინცმა ქამელ-ფაშა-იუსუფმა.

სოფია. სისხლის მღვრელ შეტაკების შემდეგ სერბიელებმა ლიუმიდან უკუ აქციეს ალბანელები. სერბიის ჯარი ალბანეთის ტერიტორიაზე გადავიდა სტრატეგიულ ადგილების დასაჭერად, რათა უზრუნველჰყოს საზღვარი ალბანელების თავდასხმისაგან.

ათინა. ხვალ მეფე სალონიკს მიემგზავრება. მინისტრთა საბჭო თათბირობს ოსმალეთის წინადადებათა თაობაზე, ბევრს საკითხს ასწორებს, რომელიც უკვე გადაწყვეტილ საკითხების, ვაკუფებისა და საბერძნეთის სასუფერინიტეტო უფლებებს შეეხება. მოლაპარაკება დიდ ხანს გასტანს, რადგან ოსმალელ დელეგატებს შეკვეცილი უფლებები აქვთ მოლაპარაკების საქმეში.

ცეტინიე. არნაუტელებმა გუსინიეს ახლო ჩერნოგორელები დაამარცხეს. დღევანდელი ბრძოლის დროს ჩერნოგორელებმა გარეკეს ალბანელები და დაიჭირეს რამდენიმე სტრატეგიული ადგილი ალბანეთის ტერიტორიაზე.

ბუდაპეშტი. პალატის კრებები დაიწყო. სახალხო და დამოუკიდებელ პარტიების წევრები არ იღებენ მონაწილეობას. ანდრაშის პარტია გამოცხადდა დღიურ საკითხთა წესრიგის შემუშავების დროს. ანდრაშმა გააცნო კრებას ის მოსაზრებანი, თუ რატომ არ შეუძლია მის პარტიას პალატის მუშაობაში მონაწილეობა მიიღოს. როგორც კი ტისა სიტყვის სათქმელად განემზადა, კონსტიტუციონურმა პარტიამ კრება მიატოვა.

ნიუ-იორკი. ლინკოლბიჩი შეეცადა ჰაეროდრომზე პეგასთვინ მიებაძნა, მაგრამ ჩამოვარდა და მსუბუქად დაშავდა. ჩამოვარდნისას მოკვდა ორი ქალი და დაშავდა სამი კაცი მაყურებელთაგანი.

ბელგრადი. სკუპშჩინის კრებები დაიწყო. დაბრუნდა გარტვიგი. ნავთსადგურ პარხოვოს აშენების საკითხი პარასკევს გაირჩევა.

პულიე. დაატუსაღეს 14 ახალგაზრდა იტალიელი. ფიქრობენ დატუსაღებას კავშირი აქვს წყალში ნაპოვნ ყუმბარების საქმესთან.

რომი. სიცილიიდან, ტოსკანიიდან და კამპანიიდან იტყობინებიან, არჩევნების გამო სისხლის მღვრელი შეტაკება არისო. ჯიოლეტიმ დაავალა პრეფექტებს, აუკრძალოს ამომრჩევლებს არჩევნების განმავლობაში იარაღი ატარონო.

„სტეფანის საააგენტოს“ ატყობინებენ, ბუშემალი კირენაკში აღებულიაო. ამნაირად დაამარცხეს აჯანყებულთა უკანასკნელი და ძლიერი რაზმი. იტალიელთა მსხვერპლი ცოტაა, ხოლო აჯანყებულთა კი დიდი.

ლონდონი. ბედფორდის ციხეში პირველი შემთხვევა იყო შიმშილისაგან სიკვდილისა. გარდაიცვალა დევისი, რომელსაც 15 წლის კატორღა ჰქონდა გადაწყვეტილი ქურდობისთვის. ტუსაღმა უარი სთქვა საჭმელის მიღებაზე.

ბელგრადი. ბრძოლა არნაუტელების წინააღმდეგ დასრულდა. სერბიის ჯარი სტრატეგიულ ადგილებს იჭერს. ლუმა და მარჯვენა მხარე მდინარე დრინისა სერბიის ხელშია. გუშინ არნაუტელები დიაკოვიცას დაესხნენ, მაგრამ უკუიქცნენ. ამასთან ყველანი ამოხოცეს სერბიელებმა.

ვალონა. ჩამოვიდა ინგლისის დელეგატი საერთაშორისო საკონტროლო კომისიის წევრი. უკან დაბრუნდნენ ბანკის დამაარსებელნი იტალიელი ფონელიოს და ავსტიელი პიტნერის მეთაურობით ჩამოსულნი ბანკის კომისიის წევრები. ბანკი სამი თვის შემდეგ დაიწყებს მოქმედებას. ჯერ ჯერობი ბანკი დროებით მთავრობის ხაზინის ფუნქციებს ასრულებს. ბანკის მოქმედების რაიონი სურთ გააფართოონ. ბანკს უხელმძღვანელებენ ერთი ავსტრიელი და ერთიც იტალიელი მოხელე.

ორშოვა. აქ მოვიდა გემით მეფე ფერდინანდი და ვენგრიას გაემგზავრა.

რუსეთი.

პეტერბურგი. მოსკოვის გაფიცულთა თანაგრძნობის გამოსაცხადებლად გაიფიცა ნარვის და ვიბორგის რაიონების 9 ათასი მუშა.

ცხობების მიმწოდებელი ბიუროო უარჰყოფს ხმებს, თითქოს რუსეთი საფრანგეთისაგან 200 მილიონის აესხის აღებას აპირებდეს ახალ გემების ასაშენებლად.

ოლქის სასამართლომ 100 მ. დაჯარიმა გაზ. „ვეჩერნეე ვრემიას“ რედაქტორი მთავრობის მოქმედების შესახებ ყალბი ცნობების გავრცელებისთვის.

დაბრუნდა მინისტრი კასო და თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

მიწათმოქმედების დეპარტამენტმა ახალი პროექტი შეიმუშავა ეროვნებისადმი სუბსიდიის მიცემისა აგრონომების შესანახავად. პროექტით განსაზღვრულია ავრედვე საერობო და მთავრობის აგრონომების ურთიერთობა.

სახელმწიფო ბანკს განზრახვა აქვს 1916 წლისთვის სარატოვის, ვოლგის, ვორონეჟისა, ტამბოვის და პენზა-სიმბირსკის რაიონებში 84 ელევატორი ააშენოს, რომელიც 5.800.000 ფუთს უნდა დაიტევდეს. ელვატორების აშენების შემდეგ გახზრახვა აქვთ ბეღლები ააშენონ ევროპის რუსეთსა, სიმბირსა და ჩრდილოეთ კავკასიაში.

ოდესა. ხოლერისაგან გარდაიცვალა მეხუთე კაცი.

გაიხსნა საარტილერიო სასწავლებელი.

პოლტავა. ხოლერით ავად გახდა ერთი კაცი. გამოიცა ხოლერის წინააღმდეგ დადგენილება; ყამრღვეველნი ჯარიმითა და დატუსაღებით ისჯებიან.

ჰელსინგფორსი. თანასწორობის კანონის წინააღმდეგობისთვის დაიჭირეს მაგისტრატის წევრები პეგოლმი და ჩიურკლუნდი.

კიევი. ბეილისის საქმე. 9 საათსა 40 წ. სასამართლოში მოიყვანეს ბრალდებული ბეილისი. სასამართლოს წინ პოლიციელების რაზმი სდგას. ხალხისთვის ცოტა ბალეთებია ასზე მეტი. კორესპონდენტებს 44 ადგილი დაუთმეს ნაცვლად ასისა. სასამართლოს კრება გაიხსნა 21. და 30 წ. თავმჯდომარეობს სასამართლოს თავმჯდომარე ბოლდირევი. მოსამართლეებად არიან: ვიგური, იურკოვიჩი და თავადი ჯევახოვი. ბრალსა სდებს პეტერბურგის პალატის პროკურორის ამხანაგი ვიპერი სამოქალაქო მოდავეებად გამოდიან. მოკლულ იუშჩინსკის დედის რწმუნებულნი: მოსკოველი ადვაკატები შიაკოვი, დურასოვიჩი და დეპუტატი ზამისლოვსკი. დამცველებად გამოდიან: გრუზენბერგი, კარაბჩევსკი, ზარუდნი და გრიგოროვიჩ-ბარსკი. ფორმალური მხარეების შესრულების შემდეგ სასამართლო აცხადებს, 299 მოწმიდან 34 არ გამოცხადდაო, მათ შორის მოშჩუკი, მიფლე და ვიგრანოვი. ექსპერტებიდან არ გამოცხადნენ პროფესორები ტარანუხინი და სიკორსკი, რომელმაც ავადმყოფობის მოწმობა წარმოადგინა და ითხოვა, ბინაზე მოიხდინონ შეკითხვა. ბრალმდებელი მოითხოვს ვიგრანოვის მოძებნას და გაკვირვებას აცხადებს მაძებარ პოლიციის ყოფილ უფროსის ვერ პოვნის გამო და მოითხოვს იმათ მოძებნას. შმაკოვი ეთანხმება ბრალმდებელს. კარაბჩევსკი მოითხოვს საქმის გადადებას, ვიდრე ისეთი მთავარი მოწმე როგორც ვიგრანოვია არ გამოცხადდება. ამასვე ამბობს მიშჩუკის თაობაზედაც. გრუზენბერგი მოითხოვს მიფლესა და მოშჩუკის მოყვანას, რადგან ბევრი მოწმე იმათ სიტყვებს დაემყარებაო. დამცველი მოითხოვს ერთხელ კიდევ მოიწვიონ არგამოცხადებული მოწმეები. სიკორსკის თაობაზე, რადგან მას, დამცველის აზრით, მოუხდება დანარჩენ ექსპერტებისადმი აზრის გაზიარება, შეუძლებელია ბინაზე მისი შეკითხვა, ამიტომ ექსპერტი ან უნდა გამოცხადდეს ან დასრულებით ჩამოაშორონ საქმესაო. ბრალმდებელი და ზამისლოვსკი მოითხოვენ საქმის გარჩევას და უკიდურეს შემთხვევაში მოწმეების ჩვენების გამოქვეყნებას. 4 საათ. 15 წ.

სასამართლო სათათბიროდ გადის. 6 საათსა და 10 წ. სასამართლო აცხადება თათბირის შედეგს. საქმე გაირჩევა, გამოქვეყნდება მიშჩუკისა და სიკორსკის ჩვენებები, ხოლო ვიგრანოვის ჩვენება თათბირმა არსებითი ხასიათისად არა სცნო, მოწმეს გამოუცხადებლობისთვის 100 მანეთით დააჯარიმებენ. 26 ნაფიცმსაჯულთაგან 8 შუამდგომლობს განთავისუფლების თაობაზე. სასამართლო მხოლოდ ორის შუამდგომლობას იწყნარებს. კენჭის ყრით არჩეული 12 ნაფიცი მსაჯული: ამათგან 2 მოქალაქეა, 3 მოხელე და 7 გლეხი—ყველა მართლმადიდებელნი. საბრალმდებლო ოქმის წაკითხვა ხვალისთვის გადაიდო. ღამის 10 საათზე კრება დაიხურა.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო ტფილისში მყოფ რაჭველებს, რომლებმაც ნივთიერი დახმარება აღმოუჩინეს ჩემდამი რწმუნებულს, ჩვენი გამოჩენილი პუბლიცისტის არჩილ ჯორჯაძის სახელობის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოს დაარსებულს ს. სადმელში (რაჭა).

შემოსწირეს: თითო მანეთი ლუკა შაუთიძემ, გერონტი კერესელიძემ, ნიკიფორე ჭელიძემ, სიმონ კერესელიძემ, ვასო კუდულაშვილმა, მიხეილ კერესელიძემ, თადეოზ გაბიჩვაძემ, იორამ ენუქიძემ, ალექსანდრე არჩუაძემ. გერონტი შარაბიძემ, სიმონ დათეშიძემ 20 კ., არტემ კარავინოვმა 20 კ., დიანოზ გობეჯიშვილმა 50 კ., და ივანე სხირტლაძემ 30 კ.—სულ 12 მ. და 20 კ.

სამკითხველოს გამგე **მიხეილ ჩიკოიძე.**

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენი პატივცემული გაზეთის უახლოეს №-ში, ჩვენ მიერ, 6 აგვისტოს სოფ. რეიისში სკოლის სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენის ანგარიშს.

შემოსავალი: გაყიდული ბილეთებისა 74 მან. 90 კაპ., შემოწირულება 6 მან., გაყიდული ლიმონათისა 5 მან. 26 კაპ., პროგრამებისა 1 მ. 35 კაპ. სულ 87 მან. 51 კაპ.

ხარჯი: მეზურნეებს 3 მან., ბილეთების ტალონები 1 მ. 25 კ., მარკები თხოვნაზე 1 მ. 50 კ., ჩითი სცენისათვის 5 მ., თეატრალური მარკები 5 მ. 50 კ., რეჟისორ მელიქიშვილს სამგზავრო 6 მ. 8 კ., სცენის მოყვარე კუდუხაშვილს 3 მან., აფიშები 3 მან., სხვა და სხვა წვრილი ხარჯი 11 მან. 43 კაპ. სულ 39 მ. 76 კაპ.

დარჩა ნაღდი 40 მ., ასაღები 5 მ. 90 კ., დარჩენილი მარკები 1 მ. 85 კაპ. სულ 47 კ. 75 კ.

ამასთანავე ულრმეს მადლობას ვუცხადებთ სცენის მოყვარეთ, როგორც ადგილობრივს, ისე გარეშეთ—რომელთაც არ დაიშურეს—მრავალი პირნათლათ შეასრულეს წმინდა მოვალეობა. ამათი სახელი და გვარი: ქ. ქ. ს. მელიქიშვილისა მ. ბათიაშვილისა, ნ. თოთიბაძისა და ე. თურქაძე. ბ. ბ. სოსო მელიქიშვილი, (რომელმაც უსასყიდლოდ გაგვიწვია რეჟისორობა). ვ. კუდუხიშვილი, ი. გვარამაძე, დავით თურქაძე და სხვ. აგრედვე ულრმეს მადლობას ვუცხადებთ ქ. ლაკაშინის სტუმრებს 4 მ. 20 კ. შემოწირვისათვის და ბ. მაღრაძეს 1 მ. 80 კ. ამასთან ყველა იმას, ვინც რაიმე დახმარება გაგვიწია ამ საქმეში, სხვათა შორის: ქ. ქ. ნინო მამაცაშვილისა და მილიცა გვარამაძის ასულს. ბ. ბ. გაბო მამაცაშვილს, ილია სოლომონის ძეს გვარამაძეს, გუგული მამაცაშვილს, ალექსანდრე დავითის ძეს დეკანოზიშვილს, ნ. ნონიევს, ი. გვარამაძეს და ალექსანდრე გვარამაძეს.

წარმოდგენის გამგენი: ალექსანდრა ერაზმის ასული **გვარამაძისა**, ბარბარე სვიმონის ასული **მამაცაშვილისა** პარმენ **თოთიბაძე.**

შემოწირულება

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს: 1) ექიმმა გრიგოლ გაბაშვილმა: წიგნი **Das pittoreske Armenien,** III ტ. (დაბეჭდილია ვენეციაში 1893 წ.) 2) თათუნა თოფჩიშვილმა და მისმა ოჯახმა (სოფელ დიღომიდან): ორი ცალ ყურა თიხისა, მიწაში ნაპოვნი (ერთი თიხისავე სახეებით არის შემკული).

საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველებს.

რედაქტორი **ა. ჯუმბაძე.**
გამომცემელი **ა. ჟაჟანაშვილი.**

№4711.
თმის სალებავი
ჯაკლის ექსტრაქტისაგან.
სრულიად უვნებელია. დებავს სწრაფად და საფუძვლიანად, როგორი ფერისაც გნებავთ: ნიზი ქერასაგან შავ ფერად.
პარფ. კელნი, რიგა
ფერ. მიულგენს.
Метцль. 357954.
3505
უმჯობესს სახახლის იჯარადარი.
ფლაკონი 1 მ. 20 კ. 2 ✦ იყიდება ყველგან

მატარებელთა მიმოსვლა
(ზაფხულობით)
18 აპრილიდან
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქ�: № 6, **ჩქარი** პლოკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონები, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფეთ დამის 4 ს. 23 წ.

ბათომი: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **ჩქარი** პლაკკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** დამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით დამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისა: № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

მცხეთაზე: № 65, **საბარგო** დილ. 8 ს. 16 წ., № 67, ბ **სამგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარელები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. 15 № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4, 3, შუადღ. 12 ს. და 9 წ.

ყარსისკენ: **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24, 23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქიდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **ჩქარი**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.** მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით დამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

უფასო საექიმო დახმარება
ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6	**ტ. მ. თათიოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7	**პ. ლ. კაკლიშვილი** (ავლაბარი, კახეთის ქ. № 2, ტელეფ. 15—27).
8—9	**ე. ა. მელიქ-შახნაზაროვი** (გუნიბის ქ., № 23).
10, 11—12	**ი. გ. ტერ-ნიკოგოსოვი** (მიხეილის ქ., № 169, ტელ. № 935).

ექიმი კბილის **ა. ზ. სოლოდაშვილი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. გოლოვინის პროსპექტი, სახლი მდივნისა, № 12.

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე** **გადავიდა** მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმი **მ. მუსხელიშვილი** მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 **ბ. ფომინა-ოსიპოვიჩი** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
3—4 და **რუსის** ბაზარში **ქრ. ლალანთარიოვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).
5—6 **ი. ზ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).
9—11 **გ. თ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).
10—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174, ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ—ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჭყიდია, და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის საეგარო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 5½, ელისაბედის ქუჩა 56 და მაღლაკნის მოედანზე.

ქალაქის სავადმყოფოები

მთავარი—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვოროხოვსკის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჭიროო შემთხვევებისა, როცა დარბაზობა დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

მასწავლებელი
სიმ. ა. გრიაზნოვი
ამზადებს ვაჟთა და ქალთა გიმნაზიისა, რეალურ და კომერციული სასწავლებლის ყველა კლასისათვის, სამასწავლებლო ინსტიტუტში, მიწის მზომელთა და სამხედრო სასწავლებელში, სამასწავლებლო ხარისხზე, სააფთიაქო შეგირდად და სხვა. იყვანს სრულს ხარჯზე.
მისამართი: ვერა, იზმაილოვის მისახვევი სახ. 6. ბინა 8. 584.

ვასწავლი
ქართულ „სიმღერა-გალობას“ და ვიმზადებ მომდერალ-მგალობლებს გუნდისთვის. მუდმივ გუნდის მიწვევა ეკლესიებში, კონცერტებზე, პიროობის გაგება, მოლაპარაკება, მიღება და ჩაწერა **მიხეილ კვანაძესთან** კვირაობით 3—5 საათამდე. ოთხშაბ. და შაბათობ. საღ. 5—7 ს-მდე. ავტალის ქუჩა № 29. ვიღებ და ვასწავლი **მუშა-ხალხსაც** ვიწვევ მგალობლებს **ანჩიხატის საკრებულო ტაძარში,** სადაც კვირა-უქმეებში მუდმივ გალობს გუნდი. 1448

გამოცდილი რეპეტიტორი **სტუდენტი** **ფილოლოგი** ამზადებს მოწაფეებს სხვა და სხვა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის.
მოლაპარაკება შეიძლება „სასალხო გაზეთის“ რედაქციაში დილის 9 ს. 3 მდე. 1501.

ქ-ნი პორტუგალოვისა
აცხადებს, რომ
საფაგრიპო მაღაზიაში, რომელიც ნიკოლოზის ხიდთან № 23—24 არის,
ზამთრის სეზონის მოახლოვებისა გამო დანიშნულია
დიდი ვაჭრობა
მამაკაცთა, ქალებისა და ბავშვების ტანისამოსისა.
30 პროც. დაიკლდება ფაბრიკის ფასს.
ვიმედოვნებ, ვინც ჩვენს მაღაზიაში იყიდის, კმაყოფილი დარჩება. ამასთანავე მოგახსენებთ, რომ **მაღაზიას ყოველ კვირა მოსდის ახალ-ახალი საქონელი, რომელიც ძვირად არ იყიდება**
1491 პატივისცემით **ქ-ნი პორტუგალოვისა.**

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შემოხაუნება
კონსულტაციურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. ვ. ბაბანასოვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხელვეშისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ბვეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. ბ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
კ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და ფარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. სალაბორატორიო 6—7 საათამდე.
საღამოთი:
მ. გ. ბვეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1004

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება
შემდეგი წიგნები: ისტორია, საეკლესიო და საისტორიო მასალები.

ბატონიშვილი დავით. მასალები საქართველოს ისტორიისათვის .	1 მ. —
ბაქრაძე დიმ. ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებაზე და ქართვ. ტომის დასაწყისზე . .	— 15 კ.
— საქართველოს ისტორია .	1 მ. —
გროსსე, საქ. ისტორია I . .	70 „
— „ „ II . .	70 „
ბარათაშვილი, საქ. ისტორ. ნაწ. I	30 „
— „ „ „ II	30 „
გორგაძე ს. ბაგრატის ტაძარი .	10 „
ე. კ. წმ. დავით აღმაშენებელი მეფე ქართველთა . . .	5 „
ვახუშტი ბატონიშვილი. საქართველოს ისტორია . .	2 მ. —
თამარაშვილი მიხ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის	2 მ. —
თაყაიშვილი ე. ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა, ანუ ქართლის მოქცევისა . . .	20 „
— არხეოლოგ. მოგზ. და შენიშვ.	1 მ. —
— სამი ისტორიული ქრონიკა	1 მ. —
იოსელიანი გ. ქართველი წმინდანები	40 „
იოსელიანი პლ. ცხოვრება გიორგი XIII და საქართ. რუსეთთან შეერთება	1 მ. —
ისარლოვი ლ. ქართველი კათოლიკენი საქართველოში . .	10 „
იმერეთის ისტორია . .	30 „
კარიჭაშვილი დ. წიგნის ისტორია	20 „
— საქართ. მოკლე ისტორია	40 „
— საქართველო მე-XII საუკ.	40 „
— სვიმონ მეფე . .	10 „
— როსტომ მეფე . .	10 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

— ✦ გამოსულია და იყიდება ✦ —
ნ. ფიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

მივილეთ საყინულე-მაგარებლით
პეტერბურგიდან
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.
ამურის **წითელი ხიზილალა** |კეტოვი|, **სიგი,** დვინის **ორაგული, გრუზდი, ბრესნიკა** და სხვ.
აგრედვე იყიდება მაილოვის
ხიზილალა
კოლოფით ¼ ხმელი სოკო. 150

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.